აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

საპროცესო ხარჯები როგორც სასამართლოს მეშვეობით სამოქალაქო სამართლებრივი უფლების დაცვის შემაფერხებელი გარემოება

ნიკა აბაკელია

ნაშრომი წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის პირველი სემინარის ფარგლებში

თემის ხელმძღვანელი: გია ლილუაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2023 წელი

მე, ქვემორე ხელმომწერი ვადასტურებ, რომ გავეცანი ნიკა აბაკელიას მიერ შესრულებულ სასემინარო ნაშრომს სახელწოდებით **,,საპროცესო ხარჯები როგორც სასამართლოს მეშვეობით სამოქალაქო სამართლებრივი უფლების დაცვის შემაფერხებელი გარემოება“** და ვაძლევ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას.

თარიღი: ___/____/_____/

თემის ხელმძღვანელი : /_____/

გია ლილუაშვილი

სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე სასემინარო ნაშრომი ,,საპროცესო ხარჯები როგორც სასამართლოს მეშვეობით სამოქალაქო სამართლებრივი უფლების დაცვის შემაფერხებელი გარემოება“ ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში დოქტორანტ ნიკა აბაკელიას მიერ სასემინარო ნაშრომი სახელწოდებით ,,საპროცესო ხარჯები როგორც სასამართლოს მეშვეობით სამოქალაქო სამართლებრივი უფლების დაცვის შემაფერხებელი გარემოება“ წარდგენილია 2023 წლის __ ივლისს, სხდომის ჩატარების თარიღია 2023 წლის ____ ივლისი.

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთმოყვანილი დასახელების სასემინარო ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს. ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭვდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციატებისა, რომლებიც მოითხოვენ სპეციფიურ მიმართულებას ლიტერატურიც ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

დოქტორანტის ხელმოწერა: /_____/

ნიკა აბაკელია

სარჩევი

აბრევიატურები V

შესავალი 1

თავი 1. საპროცესო ხარჯების არსი და მნიშვნელობა სასამართლოს წესით სამოქალაქო საქმის განხილვის დროს 6

1.1. სახელმწიფო ბაჟი, როგორც კანონით იმპერატიულად განსაზღვრული ძირითადი საპროცესო ხარჯი 8

1.2. სახელმწიფო ბაჟი - რიგითი საგადასახადო მოსაკრებელი თუ სასამართლოს მიერ ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობა 12

თავი 2. სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობის განსაზღვის საკანონმდებლო აუცილებლობა 15

2.1. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთი ცალკეულ საპროცესო მოქმედებებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში 19

2.2. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთი ცალკეულ საპროცესო მოქმედებებზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 21

2.2.1. დავის საგნის ღირებულება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ქონებრივ-სამართლებრივ დავაზე, როგორც ბაჟის გამოთვლისა და სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობა 22

2.3. სახელმწიფო ბაჟი საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 28

2.4. სახელმწიფო ბაჟი მაგისტრი მოსამართლოს განსჯად საქმეებზე 28

2.5. ბაჟის გადავადების/განწილვადების მნიშვნელობა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად 30

2.6. იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის დაწესებული განსხვავებული ბაჟის განაკვეთი, დისკრიმინაცია თუ კანონმდებლის მიერ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფა ? 38

2.7. სახელმწიფო ბაჟი არასრულწოვნის უფლების დაცვასთან დაკავშირებულ დავებზე 41

თავი 3. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთი და მისგან გათავისუფლების საფუძვლები გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობს მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი).....43

დასკვნა.....48

ბიბლიოგრაფია.....52

აბრევიატურები

ა. შ. - ასე შემდეგ

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ე.ი. - ესე იგი

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გვ. - გვერდი

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

გსსკ - გერმანიის სამოქალქო საპროცესო კოდექსი

შპს - შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება

ა(ა)იპ - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი

სს - სააქციო საზოგადოება

ევროსასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ევროკონვენცია - გაეროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

აბრევიატურები უცხოურ ენაზე:

GER-ZPO გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

შესავალი

საკვლევი სფერო და აქტუალურობა

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია როგორც გაეროს ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" კონვენციის მე-6 მუხლით[1] ასევე, საქართველოს კონსტიტუციით (31-ე (1) მუხლი).[2] მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს, არსებობს შემთხვევები, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო შესაძლებელია ინდივიდმა ვერ ისარგებლოს აღნიშნული უფლებით. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებად შესაძლებელია განხილულ იქნას კანონით გათვალისწინებული მაღალი საპროცესო ხარჯი, რომლის გაღებაც აუცილებელია იმისთვის, რომ სასამართლომ განახორციელოს მისი ძირითადი ფუნქცია - მართლმსაჯულება, ხოლო ინდივიდმა თავის მხრივ, შეძლოს მისი დარღვეული უფლების სასამართლოს წესით დაცვა.

სსსკ-ის 37-ე მუხლით, განსაზღვრულია საპროცესო ხარჯების განმარტება რომლის თანახმადაც, ერთმანეთისაგან განახვავებენ სასამართლოს ხარჯებსა და სასამართლოს გარეშე ხარჯებს.[3] თავის მხრივ, პროცესის ხარჯები საპროცესო კანონმდებლობით დაყოფილია ორ ნაწილად: სახელმწიფო ბაჟი და ხარჯები რომლებიც დაკავშირებულია საქმის განხილვასთან.[4] სასამართლოს გარეშე ხარჯებია ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარი, დაკარგული ხელფასი, მტკიცებულების მოსაპოვებლად გაწეული ხარჯი და ა.შ.[5] გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოს

---

[1] გაეროს ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია", 1950, მუხლი 6 (1999 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით) იხ. https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0 (accessed 20 May. 1999)

[2] საქართველოს კონსტიტუცია, 1995, (2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით) იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[3] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 37 (1) (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) > https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

[4] იქვე, მუხლი 37 (2)

[5] იქვე, მუხლი 37 (3)

გარეშე ხარჯების გაღება არ წარმოადგენს კანონის იმპერატიულ მოთხოვნას და შესაძლებელია, რომ პირმა ამ ხარჯის გაღების გარეშეც მიმართოს სასამართლოს, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის კვლევის საგანს წარმოადგენს პროცესის ხარჯები, კერძოდ, ბაჟის სახით გადასახდელი თანხა, რომლის გადახდაც გამონაკლისი შემთხვევების გარდა, წარმოადგენს კანონის იმპერატიულ მოთხოვნას იმისთვის, რომ ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა მოახდინოს უფლების სასამართლის წესით დაცვა.

კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ისეთ განვითარებად სახელმწიფოში, როგორსაც წარმოადგენს საქართველო, რომლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები საკმაოდ დაბალია, სახელმწიფო ბაჟის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის კანონისმიერი იმპერატიული დანაწესი შესაძლებელია გახდეს ინდივიდისათვის სასამართლოს წესით უფლების დაცვის შემაფეხებელი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს მთელ რიგ შემთხვევებს, როდესაც მოსარჩელე/განმცხადებელი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, საკითხი მაინც წარმოადგენს პრობლემურს. არსებობს რეალური შემთხვევები, როდესაც მოსარჩელეები, რომლებიც ვერ ექცევიან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის რეგულირების ფარგლებში, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას სამოქალაქო სამართლებრივი უფლების დასაცავად მიმართონ სასამართლოს.[6]

ასევე, პრობლემურია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე, 48-ე მუხლის ჩანაწერი, რომელიც სასამართლოს ანიჭებს უფლებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად გადაწყვიტოს თუ რა შემთხვევაში გაათავისუფლებს ან გადაუვადებს მოსარჩელეს/განმცხადებელს ბაჟის გადახდის ვალდებულებას.[7] არაერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მტკიცებულება შეიძლება გახდეს სარწმუნო სასამართლოსთვის მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მეტყველებს ფაქტზე, რომ სამოქალაქო

[6] საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, 1998, მუხლი 5, (2023 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით) იხ. >https://matsne.gov.ge/ka/document/view/93718?publication=97<<

[7] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 47, მუხლი 48 (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) > https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლს არ გააჩნია რეალიზება პრაქტიკაში, თუ სახეზე არ გვაქვს ბაჟისგან გათავისუფლების კანონისმიერი პირდაპირი საფუძვლები. ასევე, კანონი არ ითვალისწინებს იურიდიული პირის ბაჟისგან გათავისუფლების შესაძლებლობას, რაც შესაძლოა აღქმულ იქნას როგორც კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევა.

მიზანი და ამოცანები

ნაშრომის ძირითადი მიზანი გახლავთ კვლევა იმისა, თუ რამდენად შეიძლება გახდეს სასამართლოს ხარჯებთან დაკავშირებით დღეს არსებული საკანონმდებლო ჩანაწერი შემაფერხებელი გარემოება, რომ პიროვნებამ ვერ მოახდინოს მისი დარღვეული სამოქალაქო სამართლებრივი უფლების სასამართლოს წესით დაცვა იმ შემთხვევაში, თუ ის არ მიეკუთვნება პირთა წრეს, რომელიც განსაზღვრულია ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით. ასევე, კვლევის მიზანია დადგენა იმისა, თუ რამდენად შესაბამისობაშია სამოქალაქო საპროცესო კოდექსისი 39-ე და ,,სახემწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის იმპერატიული დანაწესი საქართველოს კონსტიტუციითა და გაეროს ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციით აღიარებულ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებასთან.

კვლევის საგანს წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხი, რა მიზანს ისახავს კანონმდებელი, როდესაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე აწესებს ბაჟის მაქსიმალური და მინიმალური ზღვარის განსხვავებულ ოდენობას. ხომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღნიშნული გარკვეულ სახის დისკრიმინაციად და ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს, როგორიც არის კანონის წინაშე თანასწორობა. კვლევის ფარგლებში წარმოჩენილი პრობლემური საკითხი შეიძლება გაერთიანდეს სამი ძირითადი კითხვის სახით, რომლებიც მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან:

1. რა მიზანს ემსახურება იმპერატიული ხასიათის საკანონმდებლო დანაწესი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იზრდება ყოველ მომდევნო ინსტანციის სასამართლოსთვის მიმართვის დროს?

2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად ხომ არ უნდა მოხდეს სასამართლო ბაჟის ოდენობის გამოანგარიშება ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო სამართლებრივ საქმეზე ინდივიდუალურად, მოსარჩელის/განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის, საქმის სამართლებრივი სირთულის თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით?

3. მიზანშეწონილია თუ არა კანონით უფრო დეტალურად განისაზღვროს ბაჟისგან გათავისუფლების და მისი გადავადების სსსკ-ის 47-ე და 48-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები. ასევე, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება გააჩნდეს სასამართლოსთვის დამატებითი უფლებამოსილების მინიჭებას, მან არა მხოლოდ გაათავისუფლოს ან საქმის წარმოების დასრულებამდე გადაუვადოს მოსარჩელეს/განმცხადებელს ბაჟის გადახდა, არამედ გაუწილვადოს იგი.

ნაშრომის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება შესაძლებელია შემდეგნაირად: მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება ადამიანის კონსტიტუციით აღიარებულ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს, არსებობს საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებმაც შესაძლებელია შეაფერხოს ინდივიდის ზემოაღნიშნული კონსტიტუციური უფლებით სარგებლობა.

ჰიპოთეზაში არსებული დაშვების მართებულობის შესამოწმებლად ნაშრომს გააჩნია მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანი და შესასრულებელი ამოცანები. ნაშრომის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს სსსკ-ის და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესი, რომელიც შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოდიოდეს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებულ ადამიანის უფლებასთან - დარღვეული უფლების აღსადგენად შეუფერხებლად მიმართოს სასამართლოს. მეორეს მხრივ, დასადგენია გარემოება, სასამართლოს ხარჯების თაობაზე კანონის იმპერატიული დანაწესის შემსუბუქება ხომ არ გამოიწვევს სასამართლო სისტემის მეტად გადატვირთულობას, რაც საბოლოოდ შესაძლებელია აისახოს მართლმსაჯულების ხარისხზე. ამ ორი სამართლებრივი სიკეთის შეპირისპირებით, კვლევის ფარგლებში უნდა დადგინდეს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებული იქნება პრობლემის იდენტიფიცირების, მონაცემთა შეგროვების მეთოდი. ასევე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი ქართულ და გერმანულ მოდელს შორის. ნაშრომში გამოყენებული დედუქციური მეთოდი, შესაძლებლობას იძლევა რომ მკითხველმა სწორი დასკვნები გააკეთოს, ზოგადი მსჯელობიდან ახლი ცოდნა აღმოაჩინოს და კონკრეტული დასკვნები გამოიტანოს. ამასთანავე, ნაშრომში ინდუქციურ მეთოდზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება კონკრეტული ფაქტებიდან განზოგადოებული მესჯელობის ჩამოყალიბება, რაც კვლევის ფარგლებში წარმოჩენილი პრობლემური საკითხების მრავალმხრივი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

წინამდებარე ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს, რომ იგი ცალსახად და არაორაზროვნად გასცემს პასუხს კითხვაზე - მოდის თუ არა წინააღმდეგობაში კონსტიტუციურ პრინციპთან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის კონკრეტული მუხლები, რომლებიც ეხება საპროცესო ხარჯების განსაზღვრასა და მასთან დაკავშირებულ შეღავათებს. აღსანიშნავია, რომ დღემდე არ იძებნება არცერთი იურიდიული ლიტერატურა თუ კვლევა, რომელიც მაღალი საპროცესო ხარჯების დაწესებით გამოწვეულ პრობლემებს შეისწავლის სიღრმისეულად და წარმოაჩენს საპროცესო ხარჯების მარეგულირებელი ნორმების შესაძლო წინააღმდეგობას კონსტიტუციურ პრინციპთან.

თავი 1. საპროცესო ხარჯების არსი და მნიშვნელობა სასამართლოს წესით სამოქალაქო საქმის განხილვის დროს

ისტორიული წყაროები მიუთითებს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და ყველა დროში სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის დადგენილი იყო და არის სასამართლო ხარჯი, რომელიც ეკისრებათ მხარეებს, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს, ასევე, განმცხადებლებს არასასარჩელო საქმეებზე. სასამართლო ხარჯების ისტორიული საწყისი უნდა ვეძიოთ საჯარო და კერძო სამართლის ისტორიულ დაყოფაში. თუ სასამართლოს მიერ განსახილველი დავა შეეხება საჯარო ინტერესებს, მაშინ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს სახელმწიფო თვითონ გაიღებ, ხოლო თუ დავა წარმოიშვა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში მაშინ საპროცესო ხარების გადახდა უნდა უზრუნველყოს იმ პირმა, რომელიც ფიქრობს, რომ მისი უფლების დასაცავად საჭიროა საქმის სასამართლოს მეშვეობით განხილვა.[8]

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში საპროცესო ხარჯების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 თავით, რომელიც კოდექსის მოქმედი რედაქციის თანახმად, შედგება თვრამეტი მუხლისაგან და არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიც არის სახელმწიფო ბაჟის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა, ბაჟის გადავადების ან მისი გადახდისაგან გათავისუფლების კანონისმიერი საფუძვლები და სხვა. კოდექსის აღნიშნულ თავში შევხვდებით როგორც იმპერატიული შინაარსის მქონე ნორმებს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს თუ რამდენი უნდა იყო კონკრეტულ სარჩელზე ან/და განცხადებაზე გადახდილი სასამართლო ხარჯი, რა შემთხვევაში თავისუფლდება მოსარჩელე (განმცხადებელი) მისი გადახდისაგან, ასევე, დასახელებული თავი შეიცავს ისეთ დანაწესს, როდესაც კანონის ნორმა არჩევანის უფლებას უტოვებს კონკრეტული საქმის განმხილველ სასამართლოს, რათა მან მიიღოს გადაწყვეტილება გადაუვადებს თუ არა მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებას ან საერთოდ გაათავისუფლებს თუ არა მას ამ ვალდებულებისაგან.

[8] ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 230

თითოეული სამოქალაქო საქმის განხილვა სხვადასხვა ხარჯებთან არის დაკავშირებული. არსებობს ხარჯების ნაწილი, რომელსაც თავად სახელმწიფო კისრულობს. მაგალითად, თარჯიმნის მომსახურების ხარჯი, ადვოკატის მომსახურების ხარჯი (როდესაც მოსარჩელე არის სოციალურად დაუცველი ან/და არსებობს სხვა კანონიმისმიერი წინაპირობა), სასამართლოს ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯი, სასამართლო მუშაკთა შრომითი ანაზღაურება და სხვა.[9] ძირითადი საპროცესო ხარჯი, რომელიც უშუალოდ მოსარჩელემ/განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს სარჩელის/განცხადების სასამართლოში წარდგენის ეტაპზე, არის სახელმწიფო ბაჟი. სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ორი სახე არსებობს: მარტივი და პროპორციული სახელმწიფო ბაჟი. მარტივად იწოდება ბაჟი, რომლის გადახდაც ხდება ლარებში და თეთრებში განსაზღვრული განაკვეთის მიხედვით, ხოლო პროპორციული ბაჟი გამოითვლება პროცენტულად და მისი ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე.

სახელმწიფო ბაჟის ცნების ზოგად განმარტებას ვხვდებით ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში, რომლის თანახმადაც, სახელწიფო ბაჟი არის ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახადი იმისთვის, რომ სასამართლომ განახორციელოს სამართალწარმოება და განხორციელებული მოქმედების დასადასტურებლად გასცეს სათანადო დოკუმენტი.[10] კანონის აღნიშნული განმარტების თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ბაჟი, არ გახლავთ მხოლოდ რიგითი გადასახადი. მას უაღრესად დიდი დატვირთვა გააჩნია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთმა შტომ, სასამართლო ხელისუფლებამ შეძლოს მისი ძირითადი საქმიანობის, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება.

გარდა ზემოაღნიშნული დატვირთვისა, სასამართლო ხარჯების გაღებას საპროცესო სამართალში სხვა რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია, რაც სამი ძირითადი დებულებით შეიძლება გამოიხატოს: (1) სასამართლოში სარჩელის/განცხადების შეტანის დროს სასამართლო ხარჯის გადახდის აუცილებლობა შემაკავებელ ფაქტორს

[9] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 42

[10] საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, 1998, მუხლი 1 (2023 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით) იხ. >https://matsne.gov.ge/ka/document/view/93718?publication=97<

წარმოადგენს იმისთვის, რომ ინდივიდებმა ბოროტად არ გამოიყენენონ უფლება, მათი მხრიდან არ გახშირდეს უსაფუძვლო მიმართვა სასამართლოსადმი. სწორედ ამიტომ სასამართლო ხარჯის დაკისრებას გააჩნია ერთგვარი შემაკავებელი ფუნქცია. (2) სასამართლო ხარჯი წამოადგენს ერთგვარ სანქციას იმ პირის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც იქნება მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება. (3) სასამართლო ხარჯების გადახდას გააჩნია ერთგვარი მაკომპენსირებელი დატვირთვა სახელმწიფოსადმი, რომელიც მისი ,,წარმომადგენლობითი ორგანოს" სასამართლოს მეშვეობით ასრულებს უპირველეს ვალდებულებას - ახორციელებს მართლმსაჯულებას და ამ მიზნით გასწევს სხვადახვა სახის ხარჯს.[11]

ამრიგად, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა, ისევე როგორც ნებისმიერი სახელმწიფო თუ კერძო ორგანოს საქმიანობა მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს მოითხოვს. კანონის თანახმად, ამ ხარჯების ნაწილის გადახდა ეკისრება იმ მხარეს, რომელიც გამოთქვამს სურვილს უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ხოლო ნაწილის ანაზღაურების ვალდებულებას თავად სახელმწიფო კისრულობს. [12] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ხარჯის გადაუხდელობა, გამოიწვევს მართლმსაჯულების განხორციელების შეუძლებლობას. მიუხედავად ამისა, აუცილებელია სასამართლო ხარჯი იყოს გონივრული ოდენობით განსაზღვრული, რომლის გადახდასაც შეძლებს საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენელი რათა მას არ შეეზღუდოს სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციით აღიარებული უფლება.

1.1. სახელმწიფო ბაჟი, როგორც კანონით იმპერატიულად განსაზღვრული ძირითადი საპროცესო ხარჯი

სსსკ-ის მე-5 თავით კანონმდებელი არეგულირებს საპროცესო ხარჯების საკითხს. კოდექსის 37-ე მუხლი ახდენს საპროცესო ხარჯების დიფერენციას ორ სახედ: (1)

[11] ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 230
[12] იქვე, გვ. 131

სასამართლოს ხარჯები და (2) სასამართლოს გარეშე ხარჯები. აღნიშნულ თავში მოცემული საკანონმდებლო ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი არ ერევა იმ ხარჯების მაქსიმალური და მინიმალური ოდენობის განსაზღვრაში, რაც წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს. რაც შეეხება სასამართლო ხარჯებს, კონკრეტულად კი ბაჟის სახით გადასახდელი თანხის ოდენობას, აღნიშნული იმპერატიულად არის განსაზღვრული კანონმდებლის მიერ.

კანონის ზოგადი დანაწესის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში ბაჟის ოდენობა განისაზღვრება დავის საგნის საბაზრო ღირებულების 3%-ს, ამავდროულად კანონი ადგენს ბაჟის მინიმალურ ოდენობას, რომელიც არ უნდა იყოს ასი ლარზე ნაკლები. საქმის აპელაციაში განხილვის ეტაპზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განსაზღვრულია დავის საგნის საბაზრო ღირებულების 4%-ით, სულ მცირე ასორმოცდაათი ლარის ოდენობით, ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დავის საგნის საბაზრო ღირებულების 5%-ით, მაგრამ არანაკლებ სამასი ლარისა. ამასთანავე, კანონმდებელი ადგენს თითოეულ ინსტანციაში სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალურ და მინიმალურ ოდენობას, რომელიც განსხვავებულია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ასევე, იმპერატიულად არის განსაზღვრული ბაჟის ოდენობა შემდეგ საპროცესო მოქმედებებზე: კერძო საჩივრის წარდგენა; სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადების წარდგენა; სარჩელის წარდგენა არაქონებრივ დავაზე; თამასუქის და ჩეკის თაობაზე სარჩელები; სამედიცინო მორიგების უზრუნველყოფის შესახებ განცხადება და სხვა.[13] ობიექტური დამკვირვებლისთვის მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე, თუ რამ განაპირობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის ამგვარი ფორმულირების ჩამოყალიბება. რა ლეგიტიმური მიზანი გააჩნია საკანონმდებლო დანაწესს, რომლის მიხედვითაც ყოველ მომდევნო ინსტანციაში იზრდება, როგორც ბაჟის საპროცენტო განაკვეთი, ასევე, მისი მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა. მოცემულ კითხვაზე პასუხი განსაკუთრებით საინტერესოა იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი

[13] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 39 (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) იხ.> https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

ნორმების დანაწესის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვას ახასიათებს გარკვეული ლეგიტიმური შეზღუდვები. მაგალითად, სსსკ-ის 280-ე (2) მუხლის დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ისეთ ფაქტებს ან მტკიცებულებებს, რომელთა წარდგენაც პროცესისი მონაწილეებს პირველი ინსტანციის სასამართლოში შეეძლოთ.[14] აღნიშნულ და სხვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არაერთ დანაწესზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქმის განსახილველად ძირითადი ძალისხმევის გაწევა, როგორც პროცესის მონაწილე მხარეების მხრიდან, ასევე, საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ ხდება საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ეტაპზე დაწესებულია რიგი საპროცესო შეზღუდვები, რომელსაც თავისი ლეგიტიმური მიზანი გააჩნია. აღნიშნული შეზღუდვები ავალდებულებს სასამართლოს საქმე განიხილოს იმ ფარგლებში რა მტკიცებულებების ფარგლებშიც მოხდა მისი განხილვა ქვედა ინსტანციის სასამართლოში. ამავდროულად, ყოველი მომდევნო ინსტანციის სასამართლო კანონის ნორმის თუ სასამართლო პრაქტიკის ინტერპრეტაციის ნაწილში არის თავისუფალი. ქვედა ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი განმარტება არანაირად არ ზღუდავს ზემდგომ სასამართლოს საქმეს მისცეს სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება. აღნიშნული ბადებს ობიექტურ კითხვას, თუ რა ლეგიტიმური მიზანი გააჩნდა კანონმდებელს ყოველ მომდევნო ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის უფრო მაღალი დანაწესის განსაზღვრისას?

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს თაობაზე გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, რომელთა ანალიზმაც შეიძლება პასუხი გასცეს კითხვას, თუ რა განაპირობებს საპროცესო ხარჯების ზრდას ყოველი მომდევნო ინსტანციაში საქმის გასაჩივრების შემთხვევაში. გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, (1) სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების არსებობით ძლიერდება ქვედა ინსტანციის სასამართლოების პასუხისმგებლობა რადგან ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეამოწმოს ზემდგომმა სასამართლომ,

[14] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 380 (2), (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) იხ. > https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული კუთხით. (2) პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, ზედა ინსტანციებში საქმის განხილვა ხდება კოლექტიური შემადგენლობით, რაც გადაწყვეტილებისადმი ნდობის ხარისხს ზრდის. (3) ყოველი მომდევნო ინსტანციის სასამართლოს არსებობა ქმნის საფუძვლიან ვარაუდს იმისა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა ექვემდებარება გამოსწორებას.[15] აღნიშნული მოსაზრებების ანალიზი ცხადყოფს, რომ რაც უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლო განიხილავს საქმეს, მით უფრო მაღალია საქმის განმხილველი მოსამართლის პასუხისმგებლობა. შესაბამისად, არსებობის უფლება გააჩნია მოსაზრებას, რომელიც საპროცესო ხარჯების ზრდას უკავშირებს საქმის განმხილველი სასამართლოს პასუხიმგებლობის ხარისხს. აქვე ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრების არსებობა არანაირად არ აკნინებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მნიშვნელობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. საქალაქო და რაიონულ სასამართლოებს დაკისრებული აქვთ მნიშვნელოვანი პასუხიმგებლობა მართლმსაჯულების სისტემაში.

ბაჟის მაღალი განაკვეთის არსებობა ყოველი მომდევნო ინსტანციის სასამართლოში შესაძლებელია განპირობებული იყოს სახელმწიფოს ვალდებულებით ხელი შეუწყოს სასამართლო სისტემის შეუფერხებლად ფუნქციონირებას. უკანასკნელ წლებში არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლოს გადატვირთულობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ქვეყანაში. აღნიშნულმა პრობლემამ შესაძლებელია პირდაპირი გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების ხარისხზე. საპროცესო კოდექსის დანაწესი, რომლის თანახმადაც ბაჟის ოდენობა იზრდება ყოველ მომდევნო ინსტანციაში საჩივრის წარდგენის დროს, შესაძლებელია დადებითად აისახოს სასამართლოს გადატვირთულობის შემსუბუქების კუთხით. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ და სხვა მსგავსმა საპროცესო დანაწესმა დაუსაბუთებლად არ შელახოს პირის უფლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. შესაბამისად, საფუძვლიანი იქნება მივიჩნიოთ, რომ კანონმდებლის ერთ-ერთი მიზანი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში ბაჟის გაზრდილი ოდენობით დაწესებისა, არის შეზღუდოს დაუსაბუთებელი სააპელაციო და საკასაციო საჩივრების წარდგენის

[15] ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 333

შესაძლებლობა, რაც დადებითად იმოქმედებს მართლმსაჯულების ხარისხზე და სასამართლოს, როგორც ტექნიკური ისე ადამიანური რესურსების დაზოგვას გამოიწვევს. საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება, რომელმაც ბაჟის თანხის ყოველ მომდევნო ინსტანციაში ზრდას მხარი დაუჭია და განმარტა, რომ რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე უკვე განხილულია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია აპელაციის ეტაპზე საქმის განმეორებითი განხილვისთვის ბაჟის იმაზე მაღალი ოდენობა დააწესოს ვიდრე ეს განსაზღვრული იყო ქვედა ინსტანციის სასამართლოში. ევროსასამართლო ბაჟის ოდენობის ზრდას ამართლებს ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებით.[16] ევროსასამართლოს მიდგომა საკითხთან დაკავშირებით ცხადყოფს, რომ იგი ემხრობა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში ბაჟის იმაზე მაღალი ოდენობით დაწესებას ვიდრე ეს განსაზღვრულია ქვედა ინსტანციის სასამართლოში. ამავდროულად, მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს აღნიშნულმა შეზღუდვამ არ ხელყოს ადამიანის უფლება მიმართოს სასამართლოს.

საკითხის სიღრმისეული ანალიზი ცხადყოფს, რომ ბაჟის თანხის ოდენობის იმპერატიულად განსაზღვრულ მზარდ საკანონმდებლო ჩანაწერს გააჩნია ლეგიტიმური ახსნა. კანონმდებლის მთავარი გამოწვევა საკითხის რეგულირებისას გახლავთ გონივრული ბალანსის დაცვა სასამართლოს ინტერესებს და საჩივრის წარმდგენი პირის კონსტიტუციური უფლების დაცვას შორის.

1.2. სახელმწიფო ბაჟი - რიგითი საგადასახადო მოსაკრებელი თუ სასამართლოს მიერ ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობა

,,საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი განსაზღვრავს მიმართულებას თუ სად ირიცხება

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 დეკემბრის Nას-823-789-2016 განჩინება, გვ. 14

და რას ხმარდება სასამართლოში განსახილველ საქმეებზე გადახდილი ბაჟი. ნორმა განსაზღვრავს, რომ საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე გადახდილი შემოსავლები, გარდა საკასაციო საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟისა და სარეგისტრაციო მოსაკრებელისა, მიმართულია უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახაზინო სამსახურში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მას იყენებს დეპარტამენტის დამტკიცებული ხარჯების დასაფარად. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ხარჯების დაფარის შემდეგ დამატებითი თანხა დარჩება, იგი ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართვლოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საკასაციო საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი, სრული მოცულობით მიემართება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახაზინო სამსახურში გახსნილ ანგარიშზე და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოიყენება ამ ორგანოს სხვადასხვა სახის (ოფიციალური) ხარჯების დასაფინანსებლად. ხოლო თუ ნამეტი თანხა დარჩება იგი სახელწიფო ბიუჯეტში ირიცხება.[17] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მერვე თავი არეგულირებს ეროვნულ დონეზე მოქმედი სასამართლოების დეპარტამენტის უფლებებსა და მოვალეობებს. კანონის 55-ე მუხლის თანახმად, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თავმჯდომარის მეშვეობით: (1) განკარგავს ფინანსებს სასამართლოების საქმიანობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნვესაყოფად; (2) საერთო სასამართლოებს უზრუნველყოფს სათანადო შენობა-ნაგებობებით; (3) ამარაგებს სასამართლოებს ეფექტურად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ნორმატიული აქტებითა და სხვა მასალებით; (4) აფასებს სასამართლოს ფინასური თუ სხვადასხვა სახის ქონებრივი რესურსების ხარჯვის მართლზომიერებას; (5) ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას სასამართლების მატერიალურ-ტექნიკური ფუნქციონირებისთვის.[18]

---

[17] საქართველოს კანონი ,,საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებატა შესახებ“, 1996, მუხლი 38, (1998 წლის 29 მაისი მდგომარეობით)
იხ. >https://matsne.gov.ge/ka/document/view/5538833?publication=0>

[18] საქართველოს ორგანული კანონი ,,საერთო სასამართლოები ს შესახებ“, 2009, მუხლი 55, (2023 წლის 13 ივნისის მდგომარეობით) იხ. >https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=48<

სასამართლოში განსახილველ საქმეებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის არსის და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მისი მნიშვნელობის სიღრმისეული კვლევა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ბაჟი მეტია ვიდრე ერთ-ერთი რიგითი გადასახადი, რადგან მასზე არის დამოკიდებული სასამართლოს ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა, სასამართლოს მუშაკთა შრომითი ანაზღაურება და სხვა. შესაძლებელია ითქვას, რომ ბაჟის სახით გადახდილ თანხებზე არის დამოკიდებული ზოგადად სამართალწარმოების განხორციელება. კვლევა აჩვენებს, რომ ბაჟის სახით გადახდილი თანხის ძირითადი ნაწილი ხმარდება თავად სასამართლო სისტემას, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ხოლო დარჩენილი ნაწილი ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. შესაბამისად, დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტური სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულება სამოქალაქო საქმეებზე იყოს ფასიანი.

თავი 2. სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობის განსაზღვის საკანონმდებლო აუცილებლობა

სსსკ-ის 39-ე (3) მუხლით დადგენილია სახელმწიფო ბაჟის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა, რომლის თანახმადაც პირველი ინსტანციის სასამართლოში (გარდა მაგისტრატი მოსამართლის განსახილველი საქმეებისა) ფიზიკური პირებისათვის სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3000 (სამი ათასი) ლარს, ხოლო იურიდიული პირებისათვის 5000 (ხუთი ათასი) ლარს. აღნიშნული თანხის ოდენობა იზრდება ყოველ მომდევნო ინსტანციაში საჩივრის წარდგენის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოში ფიზიკური პირებისთვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ზღვარი შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს, ხოლო იურიდიული პირებისთვის 7000 (შვიდი ათასი) ლარს. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მაქსიმალური თანხა არის ფიზიკური პირებისთვის 6000 (ექვსი ათასი) ლარი, იურიდიული პირებისთვის 8000 (რვა ათასი) ლარი. კანონი ასევე ადგენს ბაჟის მინიმალურ ოდენობას, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში ქონებრივ-სამართლებრივ დავაზე წარმოადგენს 100 (ასი) ლარს, სააპელაციო სასამართლოში 150 (ასორმოცდაათი) ლარს, საკასაციო სასამართლოში 300 (სამასი) ლარს.[19]

იურიდიულ დოქტრინაში საკითხის ამგვარ მოწესრიგებას ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომლებიც მართალია, ერთხმად თანხმდებიან, რომ სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისთვის სამოქალაქო სამართალწარმოება მნიშვნელოვანია იყოს ფასიანი მაგრამ მათი აზრები იყოფა იმ ნაწილში, რომელიც ეხება ერთიან მიდგომას, რომ ნებისმიერი ფიზიკური პირისთვის, რომელიც არ სარგებლობს კანონით დადგენილი შეღავათებით, ასევე, ნებისმიერი იურიდიული პირისთვის, მიუხედავად მათი ქონებრივი მდგომარეობისა, განსაზღვრული იყოს ბაჟის ერთიანი მაქსიმალური ზღვრული ოდენობა. საკითხის მოწინააღმდეგეთა აზრით, ამგვარი მიდგომა წარმოშობს საშიშროებას მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურ პირს არ გააჩნია საკმარისი მატერიალური სახსრები იმისთვის, რომ გაიღოს სასამართლო ხარჯი, რომლის ოდენობაც საკმაოდ მაღალია და მოსამართლე, რომელიც საპროცესო კოდექსის 47-ე, 48-ე მუხლით მისთვის

[19] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 39, (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) იხ. > https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თავად იღებს გადაწყვეტილებას ბაჟის გადავადების ან გათავისუფლების თაობაზე, სასამართლოს უარის შემთხვევაში პირი იძულებული ხდება უარი თქვას სამართალწარმოების განხორციელებაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ მწირია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება იურიდიული პირებისათვის ბაჟის გადავადების შემთხვევებს, ხოლო ბაჟისგან იურიდიული პირის სრულად გათავისუფლებას საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს. გამომდინარე იქიდან, რომ სამეწარმეო საზოგადოება თავის თავში მოიაზრებს საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოგების მიღებისკენ და ივარაუდება, რომ იურიდიულ პირს ყოველთვის გააჩნია გარკვეული სახის კაპიტალი იმისთვის, რომ გაიღოს სასამართლოს ხარჯი, მათ სახელწიფო ბაჟის გადავადებაზე სასამართლო უწესებს მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე ფიზიკური პირის შემთხვევაში.

მაგალითისთვის შესაძლებელია მოვიხმოთ ერთ-ერთი საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, როდესაც სასამართლომ უარი უთხრა კასატორს, რომელიც წარმოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას სახელწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა. უზენაესი სასამართლოს განჩინებით ირკვევა, რომ საქმეზე მხარეებს წარმოადგენდნენ შპს „ა-მა“და სს „თ-ი“. შპს „ა-მა“-მ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა მეორე ინსტანციის სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილება და მოითხვა რომ გაუქმებლიყო. უზენაესმა სასამართლომ კასატორს ხუთი დღის ვადაში დაავალა სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობის – 8000 ლარის გადახდა. განჩინების მიღებიდან მცირე დროში შპს „ა-მა“-ს დირექტორმა ,,ი.ტ“-ემ წარმოადგინა დაზუსტებული საკასაციო საჩივარი სადაც მის მიერ მოთხოვნილ იქნა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება ან ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელება 10 -დან 20 დღის ვადით. საკასაციო სასამართლოს განჩინებით შპს „ა-ის“ დირექტორ ი.ტ-ის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო შუამდგომლობა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მას გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა 8 (რვა) დღით. 2019 წლის 11 იანვარს შპს „ა-ის“ დირექტორმა ,,ი.ტ“-ემ წარმოადგინა ერთ-ერთი ბანკის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ბანკის კლიენტის ,,ი.ტ“-ის სახელზე

რეგისტრირებული იყო ყადაღა და სწორედ ამ ცნობის საფუძველზე მოითხოვა ბაჟის ოდენობის შემცირება ან ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელება 10-დან 20 დღის ვადით. უზენაესმა სასამართლომ სარწმუნოდ არ ჩათვალა შპს-ს დირექტორ ,,ი.ტ"-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის შემცირების თაობაზე და მას მხოლოდ ვადა გაუგრძელა იმისთვის რომ ბაჟის ნაწილში ხარვეზი შეევსო.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც სასამართლოს განჩინებით ირკვევა, კასატორს მისი შუამდგომლობების საფუძველზე სამჯერ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, მაგრამ მან ხარვეზი არ შეავსო. უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 64-ე მულის დანაწესი, რომ სასამართლომ შეიძლება საპროცესო ვადა გააგრძელოს მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, დისპოზიციურია და სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს საპროცესო ვადის გაგრძელების მსურველი მხარის მიერ შუამდგომლობაში მითითებული მიზეზის დასაბუთების სარწმუნოობითა და საფუძვლიანობით. საკასაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით (სსსკ მუხლი 5), რა დროსაც თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული დავის ორივე მხარეს მყოფი სუბიექტების ინტერესები. სწორედ ამ მიზნითაა დაწესებული საქმის განხილვის ვადები, რათა მართლმსაჯულების განხორციელების გაჭიანურებით არ შეილახოს იმ მოდავე პირის უფლებები, რომელიც მათ სასამართლო წესით დაცვას მოითხოვს. პალატა განმარტავს, რომ კასატორისთვის მიცემული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად გონივრული იყო, რაც საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლებს წარმოშობს.[20]

მოცემული საქმიდან ირკვევა, რომ შპს-ს წარმოდგენილი ჰქონდა მისი დირექტორის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი, რომ მის ანგარიშებს ედო ყადაღა, რაც სასამართლომ ბაჟის გადავადების ან მისი შემცირებისათვის საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნია. გადაწყვეტილებიდან ნათლად იკვეთება სასამართლოს მიდგომა საკითხთან მიმართებაში, რომ იურიდიული პირი წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტს, რომლის საქმიანობაც მიმართულია მოგების მიღებისკენ. ეს გარკვეულწილად ქმნის წარმოდგენას მის გადახდისუნარიანობაზე, რაც ხშირ

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის Nას-1852-2018 განჩინება, გვ. 1-4

შემთხვევაში განაპირობებს სასამართლოს უარს ბაჟის გადავადებაზე. სწორედ ასე მოხდა ზემოაღნიშნული საქმის შემთხვევაშიც, სადაც სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა იყო განსაზღვრული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული პრაქტიკის შესაბამისად, ბაჟთან დაკავშირებული საკითხები განიხილება შემდეგ ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით: (1) სასამართლოს ხელმისაწვდომობის დაცვა თანაბრად უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის. (2) ბაჟისაგან განთავისუფლება, ბაჟის გადახდის გადავადება ან მისი ოდენობის შემცირება ხდება მხარეთა მიმართვის საფუძველზე; (3) ბაჟთან დაკავშირებით მხარეთა მიერ წარდგენილი ნებისმიერი შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებულ შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს იმ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელ ფაქტებსაც შუამდგომლობა ეფუძნება. (4) სასამართლო ვალდებულია შეაფასოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და გაითვალისწინოს მათი ქონებრივი მდგომარეობა.[21]

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე ფინანსური შეზღუდვების დაწესება. ევროსასამართლოს პრაქტიკის თანახმად კონვენციის მე-6 მუხლის შინაარსი არ გულისხმობს, რომ სარჩელის დასაშვებად ცნობისთვის ბაჟის გადახდა უპირობოდ მივიჩნიოთ სასამართლოსადმი მიმართვის დამაბრკოლებელ გარემოებად. თუმცა, სასამართლოს გააჩნია არაორაზროვანი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც ფინანსური კუთხით გამოყენებულმა შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდოს სასამართლოს ხემისაწვდომობის უფლება იმ ფარგლებში, რაც თვით აღნიშნული უფლების არსს ხელყოფს. სასამართლო ბაჟის ოდენობა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე. გათვალისწინებული უნდა იქნეს მომჩივრის ფინანსური მდგომარეობა. ასევე, ის თუ სამართალწარმოების რომელ ეტაპზე გამოიყენება ეს შეზღუდვა.[22]

---

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხეზე, საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010, გვ. 130-131

[22] მესხიშვილი ქ., ,,მაგისტრატი მოსამართლე ქართულ კანონმდებლობაში, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების მატერიალურ და პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზი“, თბილისი, 2012, გვ.75

არავინ დავობს იმაზე, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, რომელიც აღიარებულია ქვეყნის უმაღლესი კანონით (კონსტიტუციით) არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და ამ უფლების განსახორციელებლად დასაშვებია გარკვეული სახით, მათ შორის, ფინანსური წინაპირობების დაწესება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საკითხთან მიმართებაში არის ცალსახა, რომ იგი ბაჟის სახით დაწესებულ შეზღუდვას აუცილებელ შეზღუდვად მიიჩნევს. სასამართლო ემხრობა პოზიციას, რომ ბაჟის ოდენობა გამოანგარიშებულ იქნეს ინდივიდუალურად ყოველ კონკრეტულ საქმეზე. სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობის განსაზღვრა გარკვეულწილად ხელს უწყობს ინდივიდს, რომ მოახდინო მისი კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია. როდესაც პირმა იცის დიდი ოდენობის ქონებრივი დავიდან გამომდინარე გადასახდელი მაღალი ბაჟის თაობაზე, ასეთ ვითარებაში როდესაც მისთვის ცნობილია, რომ არსებობს გარკვეული ფიქსირებული ზღვარი, რომელსაც არ შეიძლება გასცდეს სასამართლო ხარჯი აღნიშნული ქმნის სტაბილურობის განცდას პირისათვის, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მიმართოს სასამართლოს. დასახელებულ საკითხში პრობლემას წარმოადგენს არა საკანონმდებლო დანაწესი, რომელიც იმპერატიულად ადგენს ბაჟის მინიმალურ ან მაქსიმალურ ოდენობას, არამედ საკითხისადმი არსებული ერთიანი მიდგომა, როდესაც ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის იდენტური დავის საგნის ოდენობის დროს განსაზღვრულია იდენტური ოდენობის ბაჟის სახით გადასახდელი თანხა, მიუხედავად მათი ეკონომიკურ მდგომარეობისა. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისთვის რეკომენდირებული იქნება, რომ ბაჟის შემცირების ინსტიტუტი გახდეს ბევრად მოქნილი და იგი პირდაპირ კავშირში იყოს სასამართლოსთვის მომმართველი პირის ეკონომიკურ მდგომარეობასთან და არა მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ საკანონმდებლო ჩანაწერთან.

2.1. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთი ცალკეულ საპროცესო მოქმედებებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში

სსსკ-ის 38-ე მუხლით განსაზღვრულია იმ პროცესუალურ მოქმედებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებისთვისაც გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი. ამ

მუხლით განსაზღვრული რიგი საპროცესო დოკუმენტის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. სტატისტიკურად პირის დარღვეული უფლების დასაცავად ყველაზე გავრცელებული საპროცესო დოკუმენტი, რომლის წარდგენაც ხდება სასამართლოში და რომელზეც გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი არის - სარჩელი. სამოქალაქო საქმეზე სარჩელი შესაძლებელია იყოს რამდენიმე სახის: სანივთო სამართლებრივი სარჩელები (რომელიც თავის მხრივ იყოფა სავინდიკაციო და ნეგატორულ სარჩელებად), აღიარებითი, მიკუთვნებითი. განსხვავდება მათზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. არამატერიალურ დავაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა პირველ ინსტანციის სასამართლოში არის 100 (ასი) ლარს, ხოლო თუ საქმე მაგისტრი მოსამართლის განსჯადია, აღნიშნული ოდენობა ნახევრდება. სარჩელზე, რომელიც დაკავშირებულია ქონებრივ სამართლებრივ დავასთან, ბაჟის თანხის ოდენობა ფიზიკური პირებისთვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ს, არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარისა, ხოლო იურიდიული პირებისათვის 3000 (სამიათასი) ლარი. შეგებებული სარჩელიც წარმოადგენს საპროცესო დოკუმენტის სახეს პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელზეც გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი და მოქმედებს დაანგარიშების იგივე წესი, რაც განსაზღვრულია ძირითად სარჩელზე. განცხადება გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ წარედგინება პირველი ინსტანციის სასამართლოს და ბაჟის მოცულობა განისაზღვრება სადავო საგნის ღირებულების 3 %-ით, სულ მცირე 100 (ასი) ლარისა. იმ შეთხვევაში თუ სადავო ნივთის ღირებულება 200 (ორასი) ლარს არ აღემატება საქმეს განიხილავს მაგისტრი მოსამართლე და მასზე გადასახდელი ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ასევე, პირველ ინსტანციის სასამართლოში ხდება შემდეგი საპროცესო დოკუმენტების წარდგენა: განცხადება ლიზინგის საგნის მფლობელისთვის მისი დაბრუნების თაობაზე, რაზეც ბაჟის ოდენობა არის სადავო ქონების ღირებულების 3%, არანაკლებ 100 (ასი) ლარისა (მაგისტრი მოსამართლის მიერ განხილვის შემთხვევაში ამ მუხლით დადგენილი ოდენობის ნახევარი), აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადება, რომელზეც გადასახდელია სახელმწიფო ბაჟის ფიქსირებული ოდენობა 500 (ხუთსი) ლარის ოდენობით. შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავსი შინაარსის განცხადებაზე მაღალი ბაჟის ოდენობა განპირობებულია პრინციპით, რომლის მიხედვითაც იურიდიულ პირებზე განსაზღვრული ბაჟის ზოგადი განაკვეთი

აღემატება ფიზიკური პირებისთვის დადგენილ განაკვეთს. პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავს განცხადებას საარბიტრაჟო საქმის განხილვაში მოწმის დასწრების უზრუნველყოფის და მტკიცებულებათა მოძიებაში სასამართლოს დახმარების თაობაზე, ასევე განცხადებებს რომელიც დაკავშირებულია არბიტრის დანიშვნასთან, მის აცილებასთან, უფლებამოსილების შეწყვეტასთან, რომელზეც ბაჟის ოდენობა განსაზღვრულია 50 (ორმოცდაათი) ლარით. განცხადებაზე დაკავშირებული მედიაციის პროცესში, მოწმის დასწრების უზრუნველყოფასა და მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარების აღმოჩენასთან, დადგნილია ბაჟი ასევე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა შესახებ, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოში განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 25 (ოცდახუთ) ლარს. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე, ბაჟის ოდენობა განსაზღვრულია 50 ლარის ოდენობით. განცხადებაზე რომელიც უკავშირდება საქმის ახალი გარემოებების გამო წარმოების განახლებას და სასამართლოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, სახელმწიფო ბაჟი არის 100 (ასი) ლარი, იგივე ოდენობის ბაჟია განსაზღვრული თამასუქისა და ჩეკის თაობაზე სარჩელზე.[23]

კანონმდებლის მიერ თითოეულ საპროცესო დოკუმენტზე ბაჟის განსხვავებული განაკვეთის განსაზღვრა განპირობებულია დავის საგნის სირთულით და იმ მატერიალური თუ ტექნიკური რესურსების ოდენობით, რომლის გაღებაც მოუწევს სასამართლოს საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.

2.2. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთი ცალკეულ საპროცესო მოქმედებებზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია იმ საპროცესო დოკუმენტების და მასზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, რომლის წარდგენაც ხდება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოში საქმის

[23] საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, 1998, მუხლი 4, (2023 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით) იხ. >https://matsne.gov.ge/ka/document/view/93718?publication=97<

წარმოების დასაწყებად ძირითადი საპროცესო დოკუმენტია სააპელაციო საჩივარი, რომელზედ გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სადავო ქონების საბაზრო ფასისი 4%-ის მოცულობით, არანაკლებ 150 და არაუმეტეს 5000 ლარისა. აღნიშნული ბაჟის ზედა ზღვარი იურიდიული პირებისთვის არის 7000 ლარი. ასევე, 150 ლარია ბაჟის ოდენობა არაქონებრივ დავაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. კერძო საჩივარზე - 50 ლარი. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე სააპელაციო საჩივრებზე 150 ლარი. იმავე ოდენობის ბაჟის თანხაა განსაზღვრული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ცნობის და აღსრულების თაობაზე საჩივარზე.

2.2.1. დავის საგნის ღირებულება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ქონებრივ-სამართლებრივ დავაზე, როგორც ბაჟის გამოთვლისა და სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობა

სსსკ-ის 365-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში ქონებრივ დავაზე საჩივრის დასაშვებად ცნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა არის, რომ დავის საგნის ღირებულება აღწევდეს 2000 (ორიათასი) ლარს. ამ ღირებულებას განაპირობებს ფაქტი, თუ რა ფარგლებში ითხოვს აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას.[24] სწორედ ამ თანხიდან ხდება სახელმწიფო ბაჟის დაანგარიშება, რაც წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების აუცილებელ წინაპირობას. საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა 2018 წელს.[25] აღნიშნულ ცვლილებამდე სააპელაციო საჩივარი ქონებრივ დავაზე დაიშვებოდა თუ სადავო საგნის საბაზრო ღირებულება არემატებოდა 1000 (ათას) ლარს.

სსსკ-ის 365-ე მუხლის სახით ვიღებთ შემდეგ მოცემულობას, თუ სხვა შემთხვევებში სასამართლოსთვის მიმართვის შემაფერხებელი გარემოება შეიძლება იყოს დავის საგნის მაღალი ღირებულება და მისგან გამომდინარე ბაჟის სახით გადასახდელი საპროცესო ხარჯი, დასახელებულ შემთხვევაში ინდივიდს

[24] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 365, (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) იხ >https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

[25] საქარველოს კანონი ,,სამოქალქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ", 2018, მუხლი 365, (2018 წლის 07 მარტის მდგომარებით)
იხ. >https://matsne.gov.ge/ka/document/view/4095587?publication=0 <

შესაძლებელია შეეზღუდოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოსთვის მიმართვის უფლება იმის გამო, რომ მისი ქონებრივ-სამართლებრივი დავა არ წარმოადგენს მაღალი მატერიალური ღირებულების დავის კატეგორიას. საკანონმდებლო ცვლილებამ იურიდიულ დოქტრინაში გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. საკითხის მოწინააღმდეგეთა აზრით, აღნიშნული ჩანაწერი დაუსაბუთებლად უზღუდავს ინდივიდის მართლმსაჯულებაზე სრულად ხელმისაწვდომობის უფლებას რადგან უფლება მართლმსაჯულებაზე მოიაზრებს საქმის განხილვას სამივე ინსტანციის სასამართლოს მეშვეობით. დასახელებული საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა მიზანს ისახავდა კანონმდებელი აღნიშნული შეზღუდვის შემოღებით.

პრაქტიკაში განსაკუთრებით პრობლემური 2000 ლარიანი ზღვარი არის საქმეებზე, სადაც დავის საგანს წარმოაგენს ალიმენტის დაკისრება. პრობლემა გამოიხატება შემდეგში, რომ იმ შემთხვევაში თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო თანხის ოდენობა რა ნაწილშიც არ დაკმაყოფილდა სარჩელი სსსკ-ის 41-ე მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 365-ე მუხლით განსაზღვრულ ზღვარზე ნაკლებია, როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე მხარე მოკლებულია შესაძლებლობას წარადგინოს სააპელაციო საჩივარი. შეიძლება ითქვას, რომ 2000 ლარიანი ზღვარის დაწესება ყველაზე პრობლემური ამ კატეგორიის საქმეებისთვის არის, რადგან საკითხი ეხება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ალიმენტის დაკისრების თაობაზე დავები მიზნად ისახავს ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებას, მისი ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას. ბავშვები წარმოადგენენ ადამიანთა იმ მოწყვლად ჯგუფს, რომელიც მისი ასაკისა თუ ფიზიკური, ფსიქოლოგიური მოუმწიფებლობის გამო განსაკუთრებულ სამართლებრივ ზრუნვას საჭიროებენ, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე მსგავსი შეზუდვის დაწესება არალეგიტიმურია.

სსსკ-ის ძველი რედაქცია (391-ე მუხლი) დავის საგნის ღირებულების ოდენობას ითვალისწინებდა არა მხოლოდ სააპელაციო საჩივრის არამედ საკასაციო საჩივრის წინაპირობადაც. კერძოდ, საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დაიშვებოდა, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება თავდაპირველად აღემატებოდა 1000 (ათას) ლარს, ხოლო შემდგომში განხორციელებული

ცვლილებებით - 5000 (ხუთი ათას) ლარს. დღეის მდგომარეობით მითითებული ბარიერი მოხსნილია და საკასაციო საჩივრის შეტანა დავის საგნის ღირებულებაზე აღარ არის დამოკიდებული. აღნიშნული ბადებს კითხვას იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია დავის საგნის ღირებულების მიუხედავად, რატომ არის მსგავსი ბარიერი დაწესებული სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ქონებრივ-სამართლებრივ დავაზე.

სსსკ-ის 365-ე მუხლით დაწესებულ შეზღუდვასთან დაკავშირებით საყურადღებო განმარტება გააკეთა საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე. დასახელებულ საქმეში კონსტიტუციური სარჩელის ავტორი შპს ,,ემ.ჯი ალიანი“ აპელირებდა, რომ სსსკ-ის 365-ე მუხლი არ არის თანხვედრაში საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერთან. სარჩელის ავტორის განმარტებით გასაჩივრების უფლების შეზღუდვა დავის საგნის ღირებულებით, წარმოადგენს სასამართლოსთვის მიმართვის დამაბრკოლებელ გარემოებას, რაც გაუმართლებელია. ასევე, 365-ე მული ზღუდავს ადამიანის კოსტიტუციური უფლება, რაშიც მოიაზრება ყოველი ადამიანის უფლება განხილულ იქნეს მისი საქმე სასამართლოში სამართლიანად. მოსარჩელე განმარტავდა, რომ ქონებრივ დავებში, სამომავლოდ არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმას თუ რომელ გარემოებს მიიჩნევს სასამართლო უდავოდ ან/და რომელ მათგანს გახდის სადავოდ.

კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიუთითებდა, რომ ქონებრივ დავებში რომლის გასაჩივრების უფლებაც დავის საგნის ღირებულების გამო შეზღუდულია თუ პირველი ინსტანციის სასამართლო არასწორად დაადგენს რომელიმე უდავო ან სადავო გარემოებას, შემდგომში ნებისმიერ პირს შეუძლია ეს გადაწყვეტილება და მასში დადასტურებული ფაქტები პრეიურიდიციად გამოიყენოს.

საკონსტიტუციო სარჩელის ავტორის განმარტებით სსსკ-ის 365-ე მუხლის არაკონსტიტუციურობას ამყარებს ფაქტი, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი არ აწესებს სასამართლოსათვის მიმართვის დამაბრკოლებელ ბარიერს დავის ღირებულებით, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს სამართლიანი გადაწყვეტილების უფლებასაც, მიუხედავად დავის საგნის ღირებულებისა. სარჩელის ავტორის განმარტებით საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მიღებისას არ იყო ნამსჯელი მის კონტიტუციასთან შესაბამისობაზე.

კონტიტუციური სარჩელის ავტორის განმარტებით, ხსენებული მუხლი ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპს. სსსკ-ის 365-ე მუხლის დღეს არსებული რედაქციით მოქმედების გამო მას შეეზღუდა სააპელაციო სარჩელის წარდგენის უფლება იმ პირობებში, როდესაც პირველმა ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. ავტორის განმარტებით არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოები, რაც უკვე დადასტურებულად არის მიჩნეული ამ კომპანიის მიმართ გამოიყენონ სხვა მომჩივრებმა სხვა სამართლებრივ დავებში. იურიდიული პირებისთვის სსსკ-ის 365-ე მუხლის არსებობა ორმაგი მნიშვნელობის ზიანის მომტანია, რადგან იგი აგრეთვე წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით დაცულ ეკონომიკური თავისუფლების პრინციპთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დასაბუთებისა, საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი განსახილველად არ მიიღო. სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განმარტავს, რომ სადავო ნორმის მიზანია სასამართლოს გადატვირთულობის თავიდან აცილება, რასაც გააჩნია ლეგიტიმაცია გამომდინარე იქედან, რომ სასამართლოს გადატვირთულობა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად დგას ქვეყანაში. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა საკითხისადმი ცხადყოფს, რომ მან დასაშვებად მიიჩნია გასაჩივრების უფლების შეზღუდვა პროცესის ეკონომიურობის უზრუნველსაყოფად და სასამართლოს გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივით.[26] იდენტური სამართლებრივი მსჯელობა განავითარა საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთ საქმეზე, სადაც მომჩივარს წარმოადგენდა ერთ-ერთი იურიდიული კომპანია. ამ საქმეშიც ანალოგიურ არგუმენტებზე დაყრდნობით, დაუშვებლად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სარჩელი, რომელიც ეხებოდა სსსკ-ის 365-ე მუხლის გაუქმებას.[27]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება უნდა იყოს ეფექტური და პრაქტიკაში რეალიზებადი. იმისთვის რომ აღნიშნული უფლება იყოს ეფექტური პირს უნდა

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/19/1610 განჩინება.
[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლის 2021 წლის 15 ილისის N2/11/1557 განჩინება.

გააჩნდეს გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმები[28]. ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იზიარებს მოსაზრებას, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. მისი შეზღუდვა დასაშვებია ასევე კანონის ფარგლებში იმ პირობის დაცვით, რომ გამოყენებული შეზღუდები არ იყოს ზედმეტად მკაცრი, არ გააუფასუროს სასამართლოსადმი მიმართვის ფლების არსი. გამოყენებული შეზღუდვა მაშინ მოდის წინააღმდეგობაში კონვენციის 6.1 მუხლთან თუ იგი არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს არ არის პროპორციულობა დაცული გამოყენებულ საშუალებასა და დასახელებულ მიზანს შორის.[29] ძნელია ცალსახა დასკვნის გამოტანა იმაზე, თუ რამდენად შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნიოს ლეგიტიმურად გასაჩივრების უფლების შეზღუდვა მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ თავიდან იქნეს არიდებული სასამართლოს გადატვირთულობა, როგორც ამას დასაშვებად მიიჩნევს საკონსტიტუციო სასამართლო.

საყურადღებოა გარემოება, რომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობად დავის საგნის ღირებულებას არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა მიიჩნევს. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ დავებზე განსახილველად დაიშვება, თუ მისი ღირებულება აღემატება 600 ევროს ან თავად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ნებადართულია მისი სააპელაციო წესით გასაჩივრება. ასეთი ნებართვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაიცემა, თუ დავას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ანდა, თუ სააპელაციო სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება ემსახურება სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას. გერმანიის კანონმდებლობის თანახმად პირველმა ინსტანციის სასამართლომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ნებართა შესაძლებელია გასცეს მაშინაც, როდესაც პირი სურვის გამოთქვამს წარადგინოს სააპელაციო საჩივარი, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებული ფინანსური ვალდებულების ოდენობა არ აღემატება ექვსას ევროს. თუ სასამართლომ ასეთი ნებართვა გასცა, გერმანიის სააპელაციო სასამართლო ვალდებიულია წარმოებაში

[28] Nunes Dias v. Portugal (განჩინება), N2627/03 და 69829/01, ECHR 2003-IV
[29] Markovic and Others v Italy (დიდი პალატა), N1398/03, $99, ECHR 2006-XIV

მიიღოს საჩივარი.[30] სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების გაუმჯობესების ნაწილში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება თუ მსგავი მიდგომა დაინერგება საქართველოშიც.

მიუხედავად იმ ლეგიტიმური მიზნისა, რასაც კანონმდებელი ისახავს სსსკ-ის 365-ე მუხლის დღეს არსებული ფორმულირების შემოღებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ 2000 ლარიანი ზღვარი მაღალია. აქვე, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ არათუ საქართველოში, არამედ უფრო მეტი მატერიალური და ადამიანური რესურსების მქონე ქვეყანაშიც კი ძნელად წარმოსადგენია, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება სამოქალაქო-სამართებრივი კატეგორიის საქმეებზე იყოს აბსოლუტური უფლება. თავად მართლმსაჯულების ეფექტურობა მოითხოვს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას მაგრამ ეს შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული. ყოველი მსგავსი შინაარსის ამკრძალავი ნორმის ამოქმედებისას დაცული უნდა იყოს ბალანსი ამავე ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთესა და უფლების განხორციელების შეზღუდვით გამოწვეულ შესაძლო ზიანს შორის. რეკომენდირებულია, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ საქმეზე ინდივიდუალურად შეაფასოს რამდენად დასაშვებია სააპელაციო საჩივარი, რადგან ერთი შეხედვით დაბალი ქონებრივი ღირებულების დავა შესაძლებელია იმაზე მეტ დატვირთვას ატარებდეს მომჩივანისთვის ვიდრე დავა, რომელიც კოლოსალურ თანხებთან არის დაკავშირებული. ასევე, სახელმწიფოში, სადაც ბავშვის უფლებების დაცვა იმდენად მაღალ საფეხურზე არის აყვანილი, რომ იგი დარეგულირებულია სპეციალური კანონით ,,ბავშის უფლებათა კოდექსით“, დაუშვებელია, რომ მასგავსი კატეგორიის დავებზე, რომელიც ბავშვის ინტერესებს უკავშირდება, სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის დაწესებული იყოს მატერიალური სახის შეზღუდვა. არასაკმარისი სასამართლო რესურსების არსებობა, რაზეც მიანიშნებს საკონსტიტუციო სასამართლო ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებებში ვერ ჩაითვლება უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად.

[30] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 495 ა, იხ. >https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html<

2.3. სახელმწიფო ბაჟი საკასაციო ინსტანციის სასამართლოში

საკასაციო ინსტანციის სასამართლოსთვის მიმართვის ყველაზე გავრცელებული საპროცესო დოკუმენტი არის საკასაციო საჩივარი, რომლის ღირებულებაც ქონებრივ სამართლებრივ დავაზე არის დავის საგნის ღირებულების 5%, არანაკლებ 300 ლარისა და არაუმეტეს 6000 ლარისა. აღნიშნული ბაჟის ზედა ზღვარი იურიდიული პირებისთვის განსაზღვრულია 8000 ლარით. ამავე ოდენობით არის განსაზღვრული ბაჟი საკასაციო საჩივარზე, რომლითაც საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ.

საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ჩანაწერზე დაკვირვება მოწმობს, რომ რაც უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოსთვის ხდება მიმართვა, მით უფრო მაღალია საპროცესო ხარჯების ოდენობა, რასაც თავისი ლეგიტიმური მიზანი გააჩნია.

2.4. სახელმწიფო ბაჟი მაგისტრი მოსამართლის განსჯად საქმეებზე

სსსკ-ის 39-ე (2) მუხლის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის განსახილველ საქმზე დადგენილია ბაჟის განსხვავებული საშეღავათო პირობები. დასახელებილი ნორმის თანახმად, თუ საქმე მაგისტატი მოსამართლის განსჯადია ბაჟის კანონით განსაზღვრული ოდენობა ნახევრდება.[31] აღნიშნული პირობით სარგებლობა შეუძლიათ როგორც მოსარჩელეებს, ასევე შეგებებული სარჩელის ავტორებს და მესამე პირებს, რომლებიც თავიანთ დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებენ დავის საგანზე. ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი პირისთვის ბაჟის ოდენობა შეადგენს, სადავო ქონების ღირებულების 1,5%-ს, მაგრამ სულ მცირე 50 ლარისა. იმის გამო, რომ მაგისტრატი მოსამართლის განსჯად ქონებრივ დავებზე დადგენილია სარჩელის ფასის ლიმიტირებული ზედა ზღვარი 2000 ლარი ოდენობით, ამგვარ დავებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა ზოგადი წესით ბაჟის გამოთვლის შემთხვევაში იქნება 30 ლარი, ხოლო ვინაიდან ბაჟი, მოცემულ

[31] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 39 (2), (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) იხ. > https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

შემთხვევაში 50 ლარზე ნაკლები არ შეიძლება იყოს მაგისტრატი მოსამართლის განსახილველ ქონებრივ დავებზე ბაჟის სახით გადასახდელი თანხის ოდენობა 50 ლარს შეადგენს. რაც შეეხება მაგისტრატი მოსამართლის განსახილველ უდავო წარმოების საქმეებს, სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ლ" ქვეპუნქტის მიხედვით, ბაჟის ოდენობა 50 ლარია, სააპელციო და საკასაციო საჩივრებზე 100 და 300 ლარი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ მაგისტრატი მოსამართლის განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ამიტომ თუ უდავო წარმოების საქმე მაგისტრატ მოსამართლეს ექვემდებარება განსახილველად, გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს ზემოთ განსაზღვრული თანხების ნახევარს (25 ლარი, 50 და 150 ლარი).[32] თუ უდავო წარმოების საქმე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი არ არის, ამ შემთხვევაში განმცხადებელი ბაჟის განახევრების უფლებით ვერ ისარგებლებს.

მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეთა კატეგორიას წარმოადგენს ჩეკისა და თამასუქის თაობაზე სარჩელები, რის გამოც ყველა ინტანციაში ბაჟის მითითებული ოდენობა ნახევრდება. ლიზინგის საგანთან დაკავშირებული განცხადებაც მაგისტრი მოსამართლის განსჯად საქმეთა კატეგორიაა განეკუთვნება, რის გამოც ბაჟის ღირებულება შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ის ნახევარს. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ რაიონულ სასამართლოში მაგისტრი მოსამართლის არ არსებობის ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო საქმე განიხილა არა მაგისტრმა, არამედ საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, კანონით გარანტირებულია მოსარჩელის (განმცხადებლის) უფლება ისარგებლოს ბაჟთან დაკავშირებული იმ შეღავათებით, რითაც ისარგებლებდა იმ შემთხვევაში მისი საქმე მაგისტრ მოსამართლეს რომ განეხილა.

ისევე როგორც ნებისმიერ კატეგორიის საქმეზე, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზეც, ამავე მოსამართლეს შეუძლია საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად განმცხადებელი გაათავისუფლოს ბაჟის

[32] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 39 (1) ,,ლ" ქვეპუნქტი, (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) იხ. > https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

გადახდის ვალდებუებისაგან, ან დროებით გადაუვადის მისი გადახდა.[33] სტატისტიკურად მსგავს კატეგორიის საქმეებზე ბაჟისგან გათავისუფლების თუ გადავადების მოთხოვით განმცხადებლები ნაკლებად მიმართავენ სასამართლოს, რაც განპირობებულია იმით, რომ მსგავს საქმეებზე კანონით დაბალი ოდენობის ბაჟის განაკვეთია დადგენილი.

მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში თუ საქმე მაგისტრატი მოსამართლის განსახილველია, საშიშროება იმისა, რომ მაღალი საპროცესო ხარჯის გამო პირმა ვერ ისარგებლოს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით, პრაქტიკულად გამორიცხულია რადგან მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დადგენილია ბაჟის მინიმალური ოდენობა. ძირითადი ფაქტორი, რაც მაგისტრატ მოსამართლის განსჯად საქმეებზე ბაჟის დაბალი ოდენობით განსაზღვრას განაპირობებს არის ის, რომ მსგავსი დავები ნაკლებად რთული კატეგორიის დავებს განეკუთვნება და მასზე სასამართლოს ნაკლები ტექნიკური თუ ადამიანური რესურსის გაღება უწევს სხვა კატეგორიის საქმესთან შედარებით. აქვე აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ჩამონათვალი თუ რა განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეთა კატეგორიას, საკმაოდ მცირეა. შესაბამისად, ეს ვერანაირად ვერ შეამსუბუქებს ნაშრომში განსახილველ იმ პრობლემურ საკითხს როგორიც არის მაღალი საპროცესო ხარჯებით განპირობებული შეზღუდვა პირისა, მისი დარღვეული სამოქალაქო-სამართლებრივი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2.5. ბაჟის გადავადების/განწილვადების მნიშვნელობა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება, მნიშვნელოვანია, სასამართლო ხარჯების გადავადების,

[33] ალავიძე ბ., ძლიერიშვლი ზ., გასიტაშვილი ე., ჰაგელნოხი უ. დას. სხვ. ,,სამოქალქო საპროცესო კოდექსის კომენტარები (რჩეული მუხლები), GIZ, თბილისი 2020, გვ. 148

შემცირების ან გათავისუფლების მარეგულირებელი საპროცესო სამართლებრივი ნორმები იყოს მოქმედი. მოსამართლე თავისი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში იყოს დამოუკიდებელი და ყოველ კონკრეტულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების, მისი შემცირების ან/და სრულად გათავისუფლების თაობაზე. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს სამოქალაქო სამართალწარმოებას, მოითხოვს, რომ ამ უფლებით სარგებლობაში თანაბრად იყვნენ უზრუნველყოფილნი როგორც ფიზიკური ასევე, იურიდიული პირები, იმ განსხვავების ფარგლებში, რაც გამომდინარეობს იურიდიული პირის ბუნებიდან.

კანონის წინაშე თანასწორობა საფუძვლად უდევს სამართლის ნებისმიერ დარგს. აღნიშნული თანასწორობა გულისხმობს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ პროცესუალური სამართლის ნაწილში თანასწორობასაც. ყველა ადამიანს აქვს უფლება მისი საქმის განმხილველი სასამართლო ეპყრობოდეს თანასწორად. აღნიშნული უფლება არსობრივად მოიაზრებს ყოველი ადამიანის უფლებას მიმართოს სასამართლოს თუმცა, ისე როგორც ნებისმიერი უფლების განხორციელება, ეს უფლებაც გარკვეულ ფორმალურ წინაპირობებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენს სასამართლო ხარჯების გადახდა. ევროსასამართლოს განმარტებით, სასამართლო ხელმისაწვდომობა უნდა იყოს ქმედითი და მისი შეფერხება, ისევე როგორც იურიდიული ბარიერის შექმნა, კონვენციის დარღვევაზე მიუთითებს.[34]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ არც 46-ე და არც 47-ე მუხლი არ ითვალისწინებს იურიდიული პირის ბაჟისგან გათავისუფლების საფუძვლებს, რაც შესაძლებელია მიჩნეულ იქნას კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციური უფლების დარღვევად, რადგან როგორც ფიზიკური პირი შეიძლება იყოს გადახდისუუნარო მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ასევე, შეიძლება გადახდისუუნარო იყოს იურიდიული პირი, რის გამოც, შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენის შემთხვევაში კანონი უნდა

[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება N6289-73, ,,აირეი ირლანდიის წინააღმდეგ“.

ითვალისწინებდეს მისი სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების საფუძველს და მას არ უნდა შეეზღუდოს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. იურიდიული პირებისათვის მართლმსაჯულება სამოქალაქო საქმეებზე არ არის ისეთივე ხელმისაწვდომი, როგორიც ფიზიკური პირებისთვის.

იმის დასადგენად, თუ რამდენად არის მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოფილი სასამართლოსთვის ხელმისაწვდომობის უფლება მნიშვნელოვანია როგორც ეროვნულ დონეზე მყარად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა.

ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბაჟის გადახდის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება ამავე კონვენციის ფუძემდებლურ პრინციპს, როგორიც არის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო ბაჟის დაწესებას გააჩნია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. დადებით მხარეზე მსჯელობისას უნდა გამოვყოთ მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება, სწრაფი სამართალწარმოების მიღების შესაძლებლობა და სხვა. რაც შეეხება უარყოფით შედეგებს, აღნიშნულს ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ როდესაც დაწესებული ბაჟი არაგონივრულად მაღალია, რის გამოც პირს ეზღუდება ან ერთმევა სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა.[35] პრაქტიკაში ხელმისაწვდომია ევროსასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, სადაც მან არაგონივრუად მიიჩნია ბაჟის განაკვეთი, რომელიც მოსარჩელის წლიური შემოსავლის ტოლია.[36] მსგავსად მაღალი განაკვეთის დაწესება წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებულ უფლებასთან.

ევროსასამართლოს წარმოებაში იყო ერთ-ერთი გახმაურებული საქმე, რომელიც პრეცედენტად ჩამოყალიბდა და დღემდე წარმატებით იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში იურისტები მათი არგუმენტის გასამყარებლად. მომჩივარი ცხოვრობდა ბულგარეთში, მან უკანონო პატიმრობაში გაატარა გარკვეული პერიოდი და სასჯელაღსრულები დაწესებულების დატოვების შემდეგ მოითხოვა კომპენსაცია. ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად მის მიერ სასამართლოში გადასახდელი ბაჟი შეადგენდა

[35] პერდიაგო პორტუგალიის წინააღმდეგ, (Perdiago v. Portugal) N24768/06, 16 ნოემბერი 2010 წ., გვ. 74
[36] კრეუზი პოლინეთის წინააღმდეგ, (Kreuz v. Poland) N28249/95, 17 ივლისი 2007წ., გვ 61.

მოთხოვნილი კომპენსაციის 90%, რისი გადახდის საშუალებაც არ ჰქონდა და შედეგად მან დაკარგა კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა.[37]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საქმეებში, სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული წესები მომჩივნებს გადაჭარბებულ ტვირთს არ უნდა აკისრებდნენ. აღნიშნული ხარჯები არ უნდა იყოს გადაჭარბებული ოდენობის ან არაგონივრულ შეზღუდვას არ უნდა აწესებდეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების დაკისრება შეესაბამებოდა მართლმსაჯულების კარგად ადმინისტრირების მიზანს, მისი მაღალი ოდენობა წარმოადგენს მომჩივნის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას. ზემოთ მოხსენებულ საქმეზე სასამართლომ დააფიქსირა ცალსახა და არაორაზროვანი პოზიცია, რომ ბულგარეთის სასამართლოს ვალდებული იყო გამოეყენებინა ბაჟის შემცირების მექანიზმი, რის გამოც დადგინდა ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა.[38]

კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა ევროსასამართლომ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, სადაც მხარეს წარმოადგენდა საქართველო. დასახელებულ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ცნობილ საფეხბურთო კლუბს უარი განუცხადა სახელმწიფო ბაჟის გადავადებაზე. ევროსასამართლოს განმარტებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს ჰქონდა პირდაპირი ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები ბაჟის გადავადებისთვის არასაკმარისად მიიჩნია, დამატებით მიეთითებინა მისთვის თუ რა დოკუმენტენი უნდა წარმოედგინა, რაც შესაძლოა საკმარისი გამხდარიყო შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად. სტრასბურგის სასამართლომ ჩავთვალა რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო საკმარისი ზომები იმისთვის, რომ პირს არ შეზღუდვოდა მართლმსაჯულების

[37] სტრაკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, (Strakov v. Bulgaria) N68490/01, 12 ივლისი, 2007 წ.

[38] კვაწაძე მ., მამალაძე ე., მჭედლიშვილი გ., დათეშიძე ნ., ,,ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები", საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2020, გვ. 66

ხელმისაწვდომობის უფლება და მხოლოდ ფორმალური პროცედურებით შემოფარგლა.[39]

ევროსასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო ხარჯების გადავადების საკითხთან მიმართებაში, წლების განმავლობაში დანერგილი პრქტიკა არ შეცვლილა და ახლაც იგივენაირად გამოიყენება, როგორც ეს ასახულია ზემოთხსენებულ გადაწყვეტილებებში. სასამართლო ცალსახად აყალიბებს პრაქტიკას, რომლის თანახმადაც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე ფინანსური წინაპირობის დაწესება მიზანშეწონილია, მაგრამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს გონივრული ბალანსის დაცვაზე. ასევე მიუთითებს რომ სასამართლოს უარი ბაჟის გადავადებაზე არ უნდა იყოს ფორმალური ხასიათის და მან ყველა ზომა უნდა მიიღოს იმისთვის, რომ მოსარჩელეს არ შეეზღუდოს ეს უფლება. თავის მხრის მოსარჩელე მხარესაც აწევს მნიშვნელოვანი გალდებულებები, რომ ბოროტად არ გამოიყენოს სასამართლოს რესურსი და ხელი შეუწყოს მას მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებაში. ყველა შეზღუდვას რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთვის მიმართვიანობასთან, განსაკუთრებით კი ფინანსური ხასიათს შეზღუდვებს უნდა გააჩნდეს მაღალი ლეგიტიმური მიზანი.[40] აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია სასამართლო ხარჯების გადავადების, შემცირების ან გათავისუფლების საპროცესო სამართლებრივი ნორმები იყოს მეტად მოქნილი, სასამართლოს უნდა ჰქონდეს მითითების უფლება ყოველ კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, რა მტკიცებულება იქნება სარწმუნო იმისთვის, რომ მომჩივანს გადაუვადოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება ან სრულად გაათავისუფლოს იგი.

ქართული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ ვრცელია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების, გადავადების თუ შემცირების საკითხებთან დაკავშირებით რადგან აღნიშნული შუამდგომლობით ყოველდღიურად არაერთი ადამიანი მიმართავს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს.

[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის N38736/04 განჩინება.

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 დეკემბრის Nას-823-789-2016 განჩინება.

სსსკ-ის 38-ე მუხლის ,,ვ“ პუნქტი, 39-ე (1) ,,ბ“ და 368-ე (5) მუხლი აწესებს აპელანტის მიერ ბაჟის გადახდის ვალდებულებას, გარდა სახელწიფო ბაჟის შესახებ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. კანონის ნორმაში ასახული შეღავათი არ ვრცელდება აპელანტზე. ხოლო, რაც შეეხება სსსკ-ის 47-ე მუხლით გათვალისწინებულ შეღავათს, როგორც სააპელაციო სასამართლოს, ასევე უზენაესი სასამართლოს მსჯელობა იდენტურია, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი ისეთი დოკუმენტები როგორიც არის საჯარო რეესტრის ამონაწერი, ნულოვანი დეკლარაციები, საბანკო ამონაწერები და სხვა, მართალია ქმნის ვარაუდს, მაგრამ უტყუარად ვერ დაადასტურებს, რომ პიროვნებას არ გააჩნია ბაჟის გადასახდელად საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა.

იურიდიული პირის შემთხვევაში სასამართლო ბაჟისგან გათავისუფლებისათვის სარწმუნო მტკიცებულებად მიიჩნევს მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებას. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გასათვალისწინებელია საქმის კონკრეტული გარემოებები და მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებიც. ერთ-ერთ საქმეში უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან დადგენილი იყო, რომ დავის საგანია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება. ორივე მხარე მეწარმე სუბიექტია. დავა დაწყებულია ჯერ კიდევ 2014 წლის მაისში. მოსარჩელემ გაწია საქმის წარმოების ხარჯები, მათ შორის, გადაიხადა სახელმწიფო ბაჟიც (5000 ლარი), ანუ რაიმე სახის შეღავათით მას არ უსარგებლია. ასეთ პირობებში აპელანტისათვის უპირატესობის მინიჭება და მისი გათავისუფლება ბაჟის გადახდისაგან ისე, რომ უტყუარად არაა დადგენილი მისი გადახდისუუნარობა, გამოიწვევდა მეორე მხარის ინტერესების დაუშვებელ შეზღუდვას და შესაბამისად, თანაბრად არ იქნებოდა დაცული ორივე მხარის ინტერესები.[41]

უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ბაჟისგან გათვისუფლების კანონისმიერ საფუძველზე და ნორმის შინაარს ფართო ინტერპრეტაცია მისცა. განსახილველ შემთხვევაში კასატორი იყო იძულებით გადაადგილებული პირი, რომელიც იღებდა დევნილის შემწეობას. იგი ასევე აკმაყოფილებდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დაწესებულ

[41] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის Nას-1670-1658-2011 განჩინება

კრიტერიუმებს. სოციალურ და დევნილის შემწეობას შორის არჩევანი ამ უკანასკნელზე შეაჩერა. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებით ბაჟის გადახდისგან მხოლოდ ის პირები თავისუფლდებიან რომლებიც სოციალურ შემწეობას იღებენ, მაგრამ მსგავს შემთხვევაში როდესაც პიროვნება არჩევანის წინაშეა და ის დევნილის შემწეობას ირჩევს სოცილურის ნაცვლად, მასზე მაინც უნდა გავრცელდეს შეღავათი და გათავისუფლდეს ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. [42]

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთგანხილულ გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ კანონს საკმაოდ ფართო ინტერპრეტაცია მისცა კასატორის სასარგებლოდ, ასევე ერთ-ერთ საქმეზე სადაც კასატორი პატიმარი იყო, განაცხადა რომ მხოლოდ პატიმრობაში ყოფნის ფაქტი არ ნიშნავს, რომ პირი გადახდისუუნაროა და იგი ამ საფუძვლით ბაჟის გადახდისაგან არ უნდა გათავისუფლდეს. [43]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული პრაქტიკის შესაბამისად, ბაჟთან დაკავშირებული საკითხები განიხილება შემდეგ ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით: (1) "სასამართლოს ხელმისაწვდომობის" დაცვა თანაბრად უზრუნველყოფილია, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის; (2) ბაჟისგან განთავისუფლება, ბაჟის გადახდის გადავადება ან შემცირება ხდება მხარის სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველზე; (3) ბაჟისგან განთავისუფლების, ბაჟის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების შესახებ მხარეთა მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებულ შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს იმ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები რომელ ფაქტებსაც შუამდგომლობა ეფუძნება; (4) სასამართლომ ამომწურავად უნდა შეისწავლოს და შეაფასოს მხარის ეკონომიკური მდგომარეობა.[44] ჩამოთვლილი პრინციპებიდან ბოლო სამი შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ჭეშმარიტად, მაგრამ ობიექტური დამკვირვებლის თვალში კითხვებს ბადებს, თუ რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ თანაბრად უზრუნველყოფილად "სასამართლოს ხელმისაწვდომობა" ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც მათთვის

[42] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის Nას-970-1006-2011 განჩინება
[43] საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010 წ., გვ. 130-131
[44] იქვე, გვ. 130-131

დაწესებულია ბაჟის განსხვავებული მაქსიმალური განაკვეთი. ასევე, სასამართლო პრაქტიკა მეტყველებს, რომ ბაჟის გადავადების კუთხით იგი მეტად ლოიალურია როდესაც მსგავსი შუადგომლობით მიმართავს ფიზიკური პირი ვიდრე იურიდიული პირი. ასევე, თანასწორობის პრინციპს ეჭვქვეშ აყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ჩანაწერი, რომელიც ბაჟისგან გათავასუფლების შესაძლებლობას იურიდიული პირის შემთხვევაში არ ითვალისწინებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2006 წლის ივლისის თვეში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე 48-ე მუხლი ითვალისწინებდა სახელწიფო ბაჟის გადახდის განწილვადებას. ე.ი. ხარჯების ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ გადახდის შესაძლებლობას.[45] ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რამ განაპირობა კანონმდებლის გადაწყვეტილება გაუქმებულიყო სახელწიფო ბაჟის ეტაპობრივად გადახდის უფლება. უდავოა, რომ აღნიშნული შესაძლებლობა მეტად ხელმისაწვდომს გახდის სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულებას. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა 2007 წლის ივლისი თვეში, როდესაც 48-ე მუხლით იმპერატიულად განისაზღვრა თუ რა შემთხვევაში უნდა მომხდარიყო იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის სახელწიფო ბაჟის გადავადება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის 2007 წელს მოქმედი რედაქციის თანახმად, სასამართლო ხარჯების გადახდა უპირობოდ გადაუვადდებოდათ მოქალაქეებს თუ სახელმწიფო ბაჟი მხარის და მისი ოჯახის წევრების ყოველთვიური შემოსავლის 2%-ს აჭარბებდა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იურიდიულ პირებს იმ შემთხვევაში გადაუვადდებოდათ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება თუ ბაჟი აღემატებოდა მათი ყოველთვიური შემოსავლის 5%-ს.[46] აღნიშნული ცვლილებაც შეიძლება შევაფასოთ როგორც წინგადადგმული ნაბიჯი სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად. კანონი მეტ-ნაკლებად ცდილობდა თანასწორობის ბალანსის დაცვას იურიდულ და ფიზიკურ პირებს შორის სასამართლოსთვის მიმართვის

[45] საქართველოს სამოქალქო საპროცესო კოდექსი, 2006 წელი, მუხლი 48, (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით, იხ. > https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

[46] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 2007, მუხლი 48, (2007 წლის 11 ივლისის მდგომარეობით.) იხ. >https://matsne.gov.ge/ka/document/view/19942?publication=0<

უფლების რეალიზების ნაწილში. რეკომენდირებული იქნება, რომ მსგავსი ჩანაწერი გათვალისწინებული იყოს სსსკ-ის მოქმედ რედაქციაშიც. სასურველია, რომ ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი იყოს მოსარჩელის ყოველთვიური შემოსავლის ოდენობა და ყურადღება არ ექცეოდეს იმას თუ რა ქონებას ფლობს იგი.

სამოქალაქო საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების, მისგან სრულად გათავისუფლების მარეგულირებელი საპროცესო სამართლებრივი ნორმების არსებობას დიდი მნიშვნელობა გააჩნია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნორმები იყოს მოქმედი, მოსამართლემ თავისი დისკრეციული უფლებამოსილება საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენოს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებისა და მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობის საფუძვლიანად შეფასების გზით. თავის მხრივ, კანონმდებელი ვალდებულია ისე რომ არ დაზიანდეს სასამართლო ხელისუფლების ინტერესები და გაუარესდეს მართლმსაჯულების ხარისხი, დააწესოს ნაკლები ფორმალური შეზღუდვა რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შემთხვევები, როდესაც მაღალი სახელმწიფო ბაჟის გამო მოსარჩელე იძულებულია უარის თქვას უფლების სასამართლო წესით დაცვაზე.

2.6. იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის დაწესებული განსხვავებული ბაჟის განაკვეთი, დისკრიმინაცია თუ კანონმდებლის მიერ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფა ?

სსსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრულია ბაჟის განსხვავებული ზედა ზღვარი იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის სამივე ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული ბადებს საფუძვლიან ეჭვს იმისა ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში ეს დანაწესი კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპთან. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ისახავს კანომდებელი მსგავის დანაწესის შემოღებით, როდესაც სასამართლოში იურიდიული და ფიზიკური პირები სარგებლობენ თანაბარი სასამართლო სერვისებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 2018 წლამდე მოქმედი რედაქციის ინ მუხლები რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე იურიდიული პირებისთვის უფრო მაღალი ბაჟის ოდენობას ითვალისწინება ფიზიკურ პირებთან მიმართებით. ასევე, ამავე გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღმოფქვრა განსხვავება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გადასახდელ ბაჟთან მიმართბაში საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, ასევე მისი ცნობის და აღსრულებასთან დაკავშირებულ განცხადებებზე. საპროცესო კოდექსის ძველი რედაქციით განსხვავებული ბაჟი იყო ასევე დადგენილი განცხადებაზე რომელიც ეხებოდა ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო სასამართლოში საქმის განახლებას.[47] ყველა ეს განსხვავება საკონსტიტუცი სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი. ერთ-ერთი საკონსტიტუციო სარჩელის ფარგლებში ასევე გასაჩივრებული იყო ნორმის შინაარსი რომლის მიხედვითაც ბაჟის განსახვავებული ზედა ზღვარია დაწესებული იურიდიული და ფიზიკურ პირებისთვის. სარჩელი ამ ნაწილში წარმოებაში არ იქნა მიღებული.[48]

საკანონმდებლო ნორმაზე მსჯელობისას, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული სასამართლოს მიერ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე, რომ აღნიშნული დანაწესი წინააღმდეგობაში მოდიოდა კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპთან და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა იურიდიულ პირს ფიზიკურ პირთან მიმართებაში სასამართლოსთვის მიმართვიანობის ნაწილში. ობიექტური დამკვირვებლისთვის გაუგებარია სასამართლოს პოზიცია როდესაც მან წარმოებაში არ მიიღო სარჩელის ინ ნაწილი სადაც მოთხოვნილი იყო იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის დადგენილი ბაჟის განსხვავებული ზედა ზღვარის გაუქმება, რადგან თუ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებში იკვეთებოდა დიფერენციაცია და განსხვავებული მიდგომები, იგივე შეიძლება ითქვას იმ მუხლებზეც რა ნაწილშიც საკინსტიტუციო სარჩელი დაუშვებლად იქნა ცნობილი. განსახილველი ნორმის დღეს არსებული რედაქციის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია, რომ იურიდიულ

[47] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის N2/6/623 განჩინება
[48] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემრის N2/15/1214 განჩინება

პირი იძულებული გახდეს უარი თქვას უფლების სასამართლო წესით დაცვაზე იმის გამო, რომ მისთვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა გაცილებით მაღალია იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც ანალოგიურ ოდენობის დავის საგანზე სარჩელი შეაქვს ფიზიკურ პირს. აქვე გასათვალისწინებელია გარემოება, რომ სასამართლო პრაქტიკის თანახმად, იურიდიული პირებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საკითხის მსჯელობისას სასამართლო მათ მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს უწესებს ფიზიკურ პირებთან მიმართებაში, ხოლო იურიდიული პირის ბაჟისგან გათავისუფლების შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს. სსკ-ის 39-ე (3) მუხლის „ა.ბ“, „ბ.ბ“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტების არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ მეტ-ნაკლებად გაიზიარა საერთო სასამართლოების მიდგომა, რომ როდესაც საქმე ეხება იურიდიულ პირს, მას ფიზიკურ პირთან შედარებით გააჩნია გარკვეული სახის კაპიტალი იმისთვის, რომ გაიღოს სასამართლოს ხარჯი. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორად უნდა იქნეს მიჩნეული. რიგ შემთხვევაში იურიდიულ პირს შესაძლებელია იმაზე მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა გააჩნდეს ვიდრე ფიზიკურ პირს. ფაქტი რომ მომმართველი იურიდიული პირია არ აძლევს სასამართლოს უფლებას, რომ იგი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენოს ფიზიკურ პირებთან მიმართებაში იმ არგუმენტზე დაყრდნობით რომ იურიდიული პირის ძირითადი არსი მოგების მიღებაზე მიმართული საქმიანობაა. ხშირ შემთხვევაში იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი შესაძლოა საერთოს არ იყოს მოგების მიღება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ეხება მოგებაზე ორიენტირებულ წარმონაქმნებს (შპს, სს), ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის განსხვავებული ოდენობის დადგენა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის ჩანაწერთან, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას - იზრუნოს მეწარმეობის განვითარებაზე.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა თანასწორობა სამოქალაქო სამართლის წამყვანი პრინციპია. მთლიანობაში, სამოქალაქო სამართალი აგებულია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა თანასწორობიბაზე. აღნიშნული პრინციპი თანაბრად უნდა გავრცელდეს ყველა სუბიეტზე. არ იკვეთება კანონმდებლის არანაირი პატივსადები მიზეზი, თუ რატომ უნდა უწევდეს იურიდიულ პირს სახელმწიფო ბაჟის თუნდაც მცირედით გაზრდილი

ოდენობის გადახდა სხვა სუბიექტებთან შედარებით. შესაბამისად, ნორმის დღეს არსებული ფორმულირება შეიცავს გარკვეული დისკრიმინაციის ნიშნებს და მიზანშეწონილია ამ მიმართულებით განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები.

2.7. სახელმწიფო ბაჟი არასრულწოვნის უფლების დაცვასთან დაკავშირებულ დავებზე

მაღალი საპროცესო ხარჯები როგორც სასამართლოსთვის მიმართვის შემაფერხებელი გარემოება განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც ეს შეიძლება გახდეს არასრულწლოვანი პირის დარღვეული სამოქალაქო სამართლებრივი უფლების დაცვის შემაფერხებელი გარემოება რადგან ბავშვები, ანუ 18 წლამდე ასაკის პირები წარმოადგენენ ადამიანთა იმ მოწყვლად ჯგუფს, რომელიც მისი ასაკისა თუ ფიზიკური, ფსიქოლოგიური მოუმწიფებლობის გამო განსაკუთრებულ სამართლებრივ ზრუნვას საჭიროებენ. ამ მიზნით კანონმდებელმა სასამართლო თუ არასასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით დააწესა გარკვეული შეღავათი. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ 18 წლამდე ასაკის პირების ინტერესები სამოქალაქო სამართლებრივ დავებზე შესაძლებელია დაცულ იქნას ადვოკატის მიერ სახელმწიფოს ხარჯზე. ასევე, სსსკ-ის 46-ე (1) მუხლის „ა“ დ „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო გადასახადების გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები ალიმენტის გადახდევინების საქმეზე, ასევე ნებისმიერ იმ საქმეებზე, რომელიც უკავშირდება ბავშვის უფლების დარღვევას.[49] მსგავსი რეგულაციების შემოღებით კანონმდებელი ცდილობს გააუქმოს ყველა ის ფორმალური შეზღუდვა, რაც შეიძლება გახდეს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის შემაფერხებელი გარემოება. ბაჟის ნაწილში ალიმენტის განსაზღვრასთან დაკავშირებულ დავას ახასიათებს ერთი სპეციფიკური წესი, რომლითაც ხელმძღვანელობენ სასამართლოები. კერძოდ, ბაჟისგან თავისუფლდება მხოლოდ ის სარჩელი, რომელიც მიმართულია ალიმენტის დანიშვნის ან გაზრდის მოთხოვნისაკენ

[49] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 4 (1) „ა“, „ე“ ქვეპუნქტი (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით). იხ> https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962<

და არა პირიქით, რაც გარკვეული შემაფერხებელი გარემოება შეიძლება აღმოჩნდეს სასამართლოსთვის მიმართვის ნაწილში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ალიმენტვალდებული არის ის მშობელი, რომელთანაც გადაწყვეტილების მიღების დროს არ ცხოვრობს ბავშვი. მაგალითად, გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვის მუდმივი საცხოვრებელი არის ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც ა-ს მისი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის სახით განესაზღვრა თანხა, მომავალში ალიმენტისგან გათავისუფლების საფუძვლის წარმოშობისას ,,ა" ისევ იძულებულია მიმართოს სასამართლოს მაგრამ დღეს არსებული საკანონმდებლო რეგულირებით, იგი ამ სახის სარჩელის წარდგენის დროს არ თავისუფლდება სახელწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ამჟამად მასთან ცხოვრობს და თავად ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს, რომ მისი კუთვნილი თანხა არ ირიცხებოდეს იმ მშობლის ანგარიშზე, რომელთანაც ის უკვე აღარ ცხოვრობს. სსსკ-ის დანაწესი, რომ კანონმდებელი ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებს მხოლოდ იმ მოსარჩელეებს, რომლებიც ალიმენტის დანიშვნას მოითხოვენ, შესაძლებელია გახდეს პრობლემური. მიზანშეწონილი იქნება, რომ სახელმწიფოში, სადაც სამართლებრივად ბავშვის ინტერესების დაცვა მაღალ სტანდარტზეა აყვანილი, სსსკ-ის 46-ე (1) მუხლის ნაწილის „ა" და „ე" ქვეპუნქტებს მიეცეს უფრო ვრცელი გამოყენება და სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლდეს ყველა ის სასარჩელო წარმოება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ბავშვთან.

თავი 3. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთი და მისგან გათავისუფლების საფუძვლები გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობს მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ქონებრივ სამართლებრივ დავებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შემდეგნაირადაა განსაზღვრული: 500 ევროს ღირებულების მქონე თანხის გადახდის სარჩელზე - 75 ევრო, 1000 ევროს ღირებულების მქონე - 110 ევრო, 10000 ევროს შემთხვევაში - 558 ევრო და ა.შ. დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს, თუმცა, დავის საგნის ფასი განსაზღვრულია კანონით. ფულადი მოთხოვნების შესახებ სარჩელების შემთხვევაში, იგი განსაზღვრულია გადასახდელი თანხით. სარჩელებზე, სადაც დავის საგანი ნივთია - ნივთის საბაზრო ღირებულებით და ა.შ.[50]

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობა ქართული კანონმდებლობის მსგავსად ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების ან მისი გადავადების შესაძლებლობას. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო საპროცესო ხარჯებისაგან გათავისუფლების საკითხს განიხილავს თანაბარი საპროცესო უფლების პრინციპის ფარგლებში, რომელზეც არის დამყარებული გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალჯერ გაუსვა ხაზი, რომ სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს საპროცესო სიტუაციის დაახლოებას მხარეებს შორის. [51]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსისი 114-ე მუხლის შინაარსიდან ირკვევა, რომ გადახდისუუნარო მხარე განცხადების საფუძველზე გათავისუფლდება სასამართლო ხარჯებისაგან, თუ მის მიერ წარმოდგენილი საპროცესო დოკუმენტი იძლევა საფუძვლიან ვარაუდს იმისა, რომ საქმე შესაძლებელია ამ პირის სასარგებლოდ დასრულდეს. ანუ, გერმანული კანონმდებლობის თანახმად სასამართლოს უწევს გარკვეულწილად წინასწარ შეაფასოს საქმის პერსპექტიულობა.[52]

---

[50] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 114.
იხ.< https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html>

[51]ალავიძე ბ., ძლიერიშვლი ზ., გასიტაშვილი ე., ჰაგელნოხი უ. და სხვ. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები (რჩეული მუხლები), GIZ, თბილისი, 2020, გვ.77

[52] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 114.
იხ.< https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html>

გერმანიის საპროცესო კოდექსი სასამართლოსადმი მომმართველ პირს, მიუთითებს, რომ მან საპროცესო ხარჯების დასაფარად უნდა გამოიყენოს მისი ქონება, რომლის რეალიზებაც შეიძლება მაგრამ ამავდროულად, კანონი არ ავალდებულებს მხარეს სასამართლო ხარჯების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ის ქონება, რომელიც მისი არსებობის წყაროა. სასამართლო ხარჯების უზრუნველყოფის საშუალება არ შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო ნივთები, ასევე, ნივთები, რომელიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის გასაგრძელებლად. სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიიღება ერთადერთი მიწის ნაკვეთი და სახლი, რომელშიც ცხოვრობს განმცხადებელი, ასევე, მისი ოჯახის წევრები ან განმცხადებლის გარდაცვალების შედეგ უნდა იცხოვროს მისმა მემკვიდრემ.

ფაქტი თუ რამდენი ადამიანი თავისუფლდება ყოვეწლიურად სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გერმანიაში წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე ქვეყნდება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საკანონმდებლო მაცნეში. მაგალითად, 2019-2020 წლის მონაცემებით, თანხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მხარის შემოსავალში არის: (1) მხარეების შემოსავალი მიღებული შრომითი საქმიანობიდან - 223 ევროს ოდენობით; (2) მხარის და მისი მეუღლის ან ცხოვრების თანამგზავრის შემოსავალი - 491 ევროს ოდენობით; (3) სარჩოს (ალიმენტის) სახით მიღებული თანხები გარკვეულ ზღვრულ ოდენობამდე. [53] ის პირები რომლებსაც მსგავსი შემოსავლები უფიქსირდებოდნენ სურვილის შემთხვევაში გათავისუფლებული აღმოჩნდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

გსსკ-ის კოდექსის 116-ე მუხლით თანახმად სასამართლო ხარჯების გადახდისაგან შესაძლებელია გათავისუფლეს ისეთი მხარე რომელიც საკუთარი სახელით იცავს სხვა პირის უფლებებს და რომლის ეკონომიკური მდგომარეობაც იმდენად არასტაბილურია რომ შეუძლებელია ხარჯების დაფარვა მოვთხოვოთ თუნდაც რაიმე ქონების რეალიზაციით ამონაგები თანხით. ასევე, იურიდიული პირი ან ნებისმიერი სხვა გაერთიანებაც შეიძლება გათავისუფლედს ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან,

[53] ალავიძე ბ., ძლიერიშვლი ზ., გასიტაშვილი ე., ჰაგელნოხი უ. და სხვ. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები (რჩეული მუხლები), GIZ, თბილისი, 2020, გვ.259

იმ შემთხვევაში თუ ბაჟის უქონლობის გამო მან ვერ შეძლო სასამართლოსთვის მიმართვა და მისი ეს უფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგება ზოგად ინტერესებს. [54]

გერმანიის სასამართლო კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იურიდიული პირის ბაჟისგან გათავისუფლების საკითხზე მსჯელობისას, გარდა ამ იურიდული პირის ეკონომიკური მდგომარეობისა ითვალისწინებს მისი პარტნიორების ინივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასაც. სააქციო საზოგადოების იმ აქციონერების ფინანსური მდგომარეობა რომლებიც აქციათა შედარებით მცირე პაკეტს ფლობენ სასამართლოს მიერ მხედველობაში არ მიიღება, რადგან ისინი არ არიან ვალდბული დაფარონ სასამართლოს ხარჯები.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა ემხრობა პოზიციას, რომლის თანახმადაც იურიდიულ პირს მხოლოდ მაშინ აქვს არსებობის უფლება, როცა შეუძლია საკუთარი ძალებით სწრაფვა მიზნებისკენ. შესაბამისად, იურიდიული პირი სასამართლო ხარჯებისგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ მაშინ, თუ ხელი შეეშლება ისეთი დავალებების შესრულებაში, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.[55]

გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს რომ სასამართლო საქმის წარმოებისას მაქსიმალურად უნდა მოხდეს ეკონომიკური კუთხით იერარქიულად სხვადასხვა საფხურზე მდგომი პროცესისი მონაწილეების ინტერესების დაახლოება. საპროცესო თანასწორობის პრინციპის დაცვა გერმანიის კანონმდებლობაში მკაცრად არის გაწერილი და იგი მოქმედებს სასამართლოში განცხადების წარდგენის დროიდან. ბაჟის გადავადების ან გათავისუფლების გერმანულ სამართლებრივ ინსტიტუტს ქართულისგან მკვეთრად განასხვავებს ის ფაქტი, რომ გერმანიაში სასამართლო წინასწარ აფასებს თუ რადენად შეიძლება იყოს სარჩელი პერსპექტიული და ამის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას ბაჟის გადავადებაზე. მიუხედავას ამისა ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სასამართლო წინასწარ, სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზევე არის ვალდებული გამოკივლიოს საქმე სრულყოფილად და მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება, რადგან ბევრი რამ არის

[54] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 116.
იხ.< https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html>

[55] ალავიძე ბ., ძლიერიშვლი ზ., გასიტაშვილი ე., ჰაგელნოხი უ. და სხვ. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები (რჩეული მუხლები), GIZ, თბილისი, 2020, გვ. 266

დამოკიდებულ პროცესის მიმდინარეობაზე, სხომაზე უაშუაოდ გაჟღერებულ არგუმენტებსა თუ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე.[56]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობას ბევრი მსგავსება გააჩნია გერმანულ კანონმდებლობასთან, სასამართლო ხარჯების განსაზღვრისა და მისგან გათავისუფლების ნაწილში, მათ შორის მაინც იკვეთება განსხვავება. აღნიშნული განსხვავება აიხსნება თითოეული ქვეყნის სამართალწარმოებისთვის დამახასათებელი სპეციფიკით, ქვეყნის ეკონომიკური მახასიათებლებით და სხვა ნიშნებით. როგორც გერმანული ასევე, ქართული საპროცესო სამართალი ემყარება საპროცესო თანასწორობის პრინციპს. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ბაჟისგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას გარკვეულწილად წინასწარ აფასებს რამდენად პერსპექტიული შეიძლება იყოს სარჩელი. აღნიშნული ემსახურება სასამართლოსადმი უსაფუძვლო მომართვიანობის თავიდან არიდებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში სარჩელის საფუძვლიანობა გავლენას არ ახდენს ბაჟისგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტაზე. ასევე, შეიძლება ითქვას რომ გერმანული საპროცესო სამართლებრივი ნორმები, რომელიც ეხება ბაჟის განსაზღვრას და მისგან გათავისუფლების შესაძლებლობას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მეტ თავისუფლებას ანიჭებს მოსამართლეს საკითხის მარეგულირებელ ქართულ საპროცესო ნორმებთან შედარებით. გერმანული მოდელისგან განსხვავებით ქართული საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს იურიდიული პირის ბაჟისგან გათავისუფლების შესაძლებლობას, ხოლო მისი გადავადების უფლებაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მხოლოდ იურიდიული პირის ეკონომიკური მდგომარეობა და არა მისი ხელმძღვანელი პირის ან პარტნიორის, რაც მას განასხვავებს გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისაგან. საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლებას გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ორმაგი დატვირთვა გააჩნია მხარეს სახელმწიფოს ხარჯზე ენიშნება ადვოკატი, რაც ნიშნავს რომ იგი თავისთავად თავისუფლდება როგორც ბაჟის გადახდის, ასევე ადვოკატისთვის ნებისმიერი სახის გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან.

[56] ალავიძე ბ., ძლიერიშვლი ზ., გასიტაშვილი ე., ეგელნოხი უ. და სხვ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსისი კომენტარები (რჩეული მუხლები), GIZ, თბილისი, 2020, გვ. 265.

ერთადერთი რისი ვალდებულებაც მოსარჩელეს ფინანსურად აკისრია ეს არის ვალდებულება, რომ საქმის მისთვის სასარგებლო შედეგით არ დასრულების შემთხვევაში მოგებულ მხარეს აუნაზრაუროს საპროცესო ხარჯები. თუ მოსარჩელე განზრახ შეცდომაში შეიყვანს სასამართლოს და წარუდგენს არასწორ ინფორმაციას, რაც მისი ბაჟისგან გათავისუფლების საფუძველი გახდება, მსგავსი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს უკვე მიღებული გადაწყვეტილება ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ანდა მისი გარკვეული დროით გადავადების თაობაზე.[57]

[57] ალავიძე ბ., ძლიერიშვლი ზ., გასიტაშვილი ე., ჰაგელნოხი უ. და სხვ. „სამოქალაქო საპროცესო კოდქის კომენტარები (რჩეული მუხლები), GIZ, თბილისი, 2020, გვ.268

დასკვნა

მართლმსაჯულების ხელმისაწვომობის უფლება ადამიანის კონსტიტუციით აღიარებულ ერთ-ერთ უმნიშველოვანეს უფლებას წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფილია ნებისმიერი ადამიანისთვის განურჩევლად მისი ასაკისა, ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ნიშნით განსხვავებისა. ამავდროულად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არ წარმოადგენს აბსოლუტური უფლებას და კანონით მასზე შესაძლებელია დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, რომლის ლეგიტიმურობასაც ეჭვქვეშ არ აყენებს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობა. ყველაზე გავრცელებული შემთხვევა, რის გამოც შესაძლებელია პიროვნებას შეეზღუდოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება წარმოადგენს შემდეგს, რომ სამოქალაქო საქმებზე მართლმსაჯულება არის ფასიანი. ხშირ შემთხვევაში ეს თანხა არ არის მცირე ოდენობის, რის გამოც იგი მძიმე ტვირთად აწევს მოსარჩელეებს, რომლებიც არ სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი შეღავათებით მაგრამ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა.

სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების შესამცირებლად, სასამართლო ხარჯების მარეგულირებელი საპროცესო სამართლებრივი ნორმები საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს. მიზანშეწონილი იქნება, რომ საკითხის მარეგულირებელი ნორმები უფრო მეტად იყოს დისპოზიციური ხასიათის ვიდრე იმპერატიული, რათა სასამართლოს შეეძლოს ბაჟის ოდენობის გამოანგარიშება ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო სამართლებრივ საქმეზე ინდივიდუალურად, მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობის, საქმის სამართლებრივი სირთულის თუ სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნულ მიდგომას ემხრობა ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. დაუშვებელია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება გახდეს ბიუჯეტის შევსების წყარო. არამედ იგი უნდა იყოს იმ ოდენობით, რომ სასამართლო სისტემამ სრულფასოვნად იფუნქციონიროს. დღეის მდგომარეობით არის შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირები გარკვეულწილად ბოროტად იყენებენ საკანონმდებლო შეღავათებს და ხშირ შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვას ახორციელებენ იმის გამო, რომ მათთვის სამართალწარმოება უფასოა. სწორედ ამიტომ

მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა რადგან ბაჟის არაგონივრულად დაბალმა ოდენობამ კიდევ უფრო მეტად არ გაზარდოს დაუსაბუთებელი სარჩელების რაოდენობა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სასურველი იქნება გერმანული კანონმდებლობის მიდგომის გაზიარება და ბაჟის შემცირების თუ გადავადების საკითხზე მსჯელობისას მოსამართლემ გაითვალისწინოს წარმოდგენილი სარჩელის პერსპექტიულობა.

საპროცესო ხარჯების მარეგულირებელი მუხლები გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპთან მაშინ როდესაც საქმე ეხება იურიდიულ პირებს. საკანონმდებლო ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მათთან მიმართებაში კანონმდებელი უფრო მკაცრია რადგან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისთვის მათ უწევთ იმაზე მაღალი ოდენობის საპროცესო ხარჯის გაღება ვიდრე ფიზიკურ პირებს. საკანონმდებლო ჩანაწერის არარსებობა, რომელიც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას იურიდიული პირი გაათავისუფლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, ცალსახად შეიძლება შევაფასოთ პრობლემურად კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირი ძირითად შემთხვევაში არის მოგების მიღებისკენ მიმართული ორგანიზებული წარმონაქმნი, იგი ისევე შეიძლება იყოს გადახდისუუნარო, როგორც ფიზიკური პირი და ხშირ შემთხვევაში უფრო მეტადაც კი რადგან მასთან მიმართებაში ეკონომიკური რისკები უფრო მაღალია. მიზანშეწონილი იქნება ამ მიმართულებით გერმანული პრაქტიკის გაზიარება, რომელიც ცნობს იურიდიული პირისთვის, როგორც სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების, ასევე, მისგან სრულად გათავისუფლების შესაძლებლობას. ამასთანავე, იგი საკითხზე მსჯელობისას მხედველობში იღებს არა მხოლოდ იურიდიული პირის, არამედ მისი პარტნიორების ეკონომიკურ მდგომარეობასაც. ძნელია ვისაუბროთ ლეგიტიმურ მიზანზე საკანონმდებლო ჩანაწერთან მიმართებაში, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე აწესებს ბაჟის მაქსიმალური და მინიმალური ზღვარის განსხვავებულ ოდენობას. აღნიშული მიზანი ვერ იქნა წარმოჩენილი საკონსტიტუციო სასამართლოს ვერცერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც განხილულია ნაშრომის ფარგლებში, რის გამოც იგი შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებს და ეწინააღმდეგება საქართველოს

კონსტიტუციის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს, როგორიც არის კანონის წინაშე თანასწორობა. ეს პრინციპი თანაბრად ვრცელდება იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებზე, მათ შორის არსებული ბუნებრივი განსხვავების გათვალისწინებით.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების განსამტკიცებლად, გარდა საპროცესო ხარჯების გადავადების ან სრულად გათავისუფლებისა, სასურველია კანონით, გათვალიწინებულ იქნას მისი განწილვადების ე.ი. ხარჯების ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ გადახდის შესაძლებლობაც, როგორც ამას ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2006 წელს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე. თანასწორობს პრინციპი მოითხოვს, რომ აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეძლონ იურიდიულმა პირებმაც. შეუძლებელია ცალსახად ითქვას, თუ რა ლეგიტიმურმა მიზანმა განაპირობა კანონმდებლის გადაწყვეტილება გაუქმებულიყო სახელწიფო ბაჟის ეტაპობრივად გადახდის შესაძლებლობა. სსსკ-ის 48-ე მუხლის 2007 წელს მოქმედი რედაქციით სახელმწიფო ბაჟის გადავადების სრულიად სხვა საფუძველი არსებობდა სასამართლოში. მოსარჩელეს უწევდათ მხოლოდ ერთი გარემოების დადასტურება რომ ბაჟის სახით გადასახდელი თანხა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მისი და მისი ოჯახის ყოველწლიური შემოსავლის 20%. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად იურიდიულ პირებს იმ შემთხვევაში გადაუვადდებოდათ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება თუ ბაჟი აღემატებოდა მათი ყოველთვიური შემოსავლის 5%-ს. აღნიშნული ცვლილებაც წარმოადგენდა წინგადადგმული ნაბიჯს სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად და სასურველი იქნება, რომ მსგავს რეგულაციას მოქმედი საპროცესო კოდექსიც ითვალისწინებდეს.

კვლევამ აჩვენა, რომ საკანონმდებლო ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იზრდება ყოველ მომდევნო ინსტანციის სასამართლოში გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და ისეთი ფაქტორებით არის განპირობებული, როგორიცაა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს გადატვირთულობის შემსუბუქება, საქმის განმხილველი სასამართლოს პასუხისმგებლობის ხარისხი და სხვა. აღნიშნულ მიზანს გამართლებულად მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა გარემოება, რომ საპროცესო ხარჯები სასამართლოსთვის მიმართვის შემაფერხებელი გარემოება ნაკლებად არის იმ

შემთხვევაში, თუ დავა მაგისტრატი მოსამართლის განსახილველია რადგან მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ქართული საპროცესო კანონმდებლობა მნიშვნელოვან ფინანსურ შეღავათებს ითვალისწინებს, რასაც განაპირობებს შემდეგი გარემოება, რომ მსგავს კატეგორიის საქმეებს არ ახასიათებს სამართლებრივი სირთულე და შესაბამისად, მასზე გასაწევი ტექნიკური თუ ადამიანური რესურსიც ნაკლებია.

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

1. კვაჭაძე მარინე, მამალაძე ეკა, მჭედლიშვილი გულიკო, დათეშიძე ნიკო, ,,ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები“, 2020. თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

2. ლილუაშვილი თენგიზი, 2005. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, გამოცემა II, თბილისი, გამომცემლობა სამართალი.

3. მესხიშვილი ქეთევანი, 2012. მაგისტრატი მოსამართლე ქართულ კანონმდებლობაში, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების მატერიალურ და პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზი, თბილისი.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2010. პრაქტიკული რეკომენდაციების სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე, საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამომცემლობა.

5. ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო, 2015. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი.

6. ჰაგენლიხი ულრიხ, ალავიძე ბესარიონ, ბაქაქური ნინო, ბერეკაშვილი დიანა, გასიტაშვილი ეკატერინე, თოდუა მზია, მესხიშვოილი ქეთევანი, ქათამაძე პაატა, ძლიერიშვილი ზურაბ, 2020. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები (რჩეული მუხლები), თბილისი, გამომცემა GIZ.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995, (2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით)

2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, (2023 წლის 11 აპრილის მდგომარეობით).

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, (2006 წლის მდგომარეობით).

4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, 1998, (2023 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით).

5. საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“, 1996, (1996 წლის 03 ივლისის მდგომარებით).

6. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009, (2009 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით)

7. გაეროს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, 1950, (1999 წლის 16 ნოემბის მდგომარეობით)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 დეკემბრის Nას-823-789-2016 განჩინება.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის Nას-1852-2018 განჩინება.

3.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის განჩინება Nას-30-30-2016.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის Nას-1670-1658-2011 განჩინება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის Nას-970-1006-2011 განჩინება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1.შპს „ემ.ჯი.ალიანსი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/19/1610 გაჩინება.

2. შპს „იურიდიული ოფისი ლეგალ რაითს ჯორჯია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/11/1557 განჩინება.

3. საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის N38736/04 განჩინება.

4. შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის N2/6/623 განჩინება.

5. ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის N2/15/1214 განჩინება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. Nunes Dias v. Portugal (განჩინება), N2627/03 და 69829/01, ECHR 2003-IV.

2. Markovic and Others v Italy (დიდი პალატა), N1398/03, $99, ECHR 2006-XIV.

3. აირეი ირლანდიის წინააღმდეგ # 6289/73, 9 ოქტომბერი 1979.

4. პერდიაგო პორტუგალიის წინააღმდეგ, (Perdiago v. Portugal) N24768/06, 16 ნოემბერი 2010.

5. კრეუზი პოლინეთის წინააღმდეგ, (Kreuz v. Poland) N28249/95, 17 ივლისი 2007.

6. სტრაკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, (Strakov v. Bulgaria) N68490/01, 12 ივლისი, 2007.

ელექტრონული რესურსები:

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“-მიღების თარიღი 07/03/2018 (2018 წლის 29 მარტის მდგომარეობით)იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4095587?publication=0#DOCUMENT:1

2. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“-მიღების თარიღი 11/07/2007 (2007 წლის 27 ივლისის მდგომარეობით)

იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/19942?publication=0

3. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, იხ. https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html